ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციოლოგია

თათია გურგენიძე

ელენე ნამორაძე

თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების მიერ საუნივერსიტეტო სივრცეში სოციალური კაპიტალის მოპოვება

ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი

სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

თსუ-ს პროფესორი

თბილისი, 2023 წელი

ანოტაცია

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მრავალ შესაძლებლობას. უპირველესად, აქ ადამიანი ეუფლება პროფესიულ ცოდნასა და უნარებს, იღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს. გარდა ამისა, მათ ეძლევათ ახალი სოციალური კავშირების დამყარების შესაძლებლობა როგორც სხვა სტუდენტებთან, ისე პროფესორებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. უნივერსიტეტში დამყარებული კავშირები არანაკლებ ღირებულია იქ შეძენილ ცოდნასა და უნარებზე. სოციალური ურთიერთობებიდან მიღებული სარგებელი კი ქმნის სოციალურ კაპიტალს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს აკადემიური წარმატების მიღწევაში, პროფესიული კავშირების შექმნაში, დასაქმებისა თუ სამსახურის ძიების პროცესში და სხვა. თუმცა, შესაძლოა, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში სხვადასხვა მიზეზების გამო ფერხდებოდეს სოციალური კაპიტალის მოპოვების პროცესი. მათ შორის არის ჰომოფილია (რელიგიური აღმსარებლობის საფუძველზე) და ხილული სტიგმა. მაგალითად, მუსლიმი ქალების შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მეტი ბარიერი ექმნებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ატარებენ თავსაფარს, ვიდრე მათ, ვისაც ვიზუალურად არ ეტყობა, რომ მუსლიმია. აქედან გამომდინარე, ისინი აწყდებიან გარკვეულ სირთულეებს უნივერსიტეტში სოციალური ურთიერთობების დამყარების კუთხით. წარმოდგენილი ნაშრომი კი მიზნად ისახავდა სწორედ სოციალური კაპიტალის მოპოვების თავისებურებების შესწავლას საუნივერსიტეტო სივრცეში მუსლიმი გოგონების მიერ. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 12 ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ თავსაფრიან მუსლიმ გოგონებთან, რომლებსაც ამჟამად აქვთ სტუდენტის აქტიური სტატუსი. ამავდროულად, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლენილი ტენდენციების შესაფასებლად ჩატარდა ექსპერტული ინტერვიუები. კვლევის შედეგად კი გამოიკვეთა ტენდენციები იმის შესახებ, თუ როგორ ახდენენ თავსაფრიანი მუსლიმი გოგონები მეორეული ჯგუფის შიგნით სოციალური კაპიტალის მოპოვებას საუნივერსიტეტო სივრცეში; როგორ ხდება მეორეული ჯგუფის შიგნით პირველადი ჯგუფის წარმოქმნა; ასევე, გამოიკვეთა ამ

პროცესის ხელის შემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები. ამავდროულად, გამოვლინდა, თუ როგორ აისახება სოციალური კაპიტალი თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების მიერ საუნივერსიტეტო სივრცეში კულტურული კაპიტალის მოპოვებაზე (ცოდნის მიღება, აკადემიური მიღწევები).

სარჩევი:

თავი 1. შესავალი 6

1.1 საკვლევი საკითხის დასმა და მისი აქტუალობის დასაბუთება 6

1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები 11

1.3 ძირითადი ცნებების კონცეპტუალიზაცია-ოპერაციონალიზაცია: 12

1.4 შერჩევის მოდელის აღწერა 14

1.5 ინფორმაციის მოპოვების ძირითადი მეთოდების აღწერა: 15

1.6 ინფორმაციის დამუშავების ძირითადი მეთოდის აღწერა 16

1.7 კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა 16

1.8 კვლევის შეზღუდვები 16

თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა 17

2.1 პიერ ბურდიე - კაპიტალის ფორმები 17

2.2 სოციალური კაპიტალი 18

2.2.1 სოციალური კაპიტალი - პიერ ბურდიე 19

2.2.2 რაციონალური არჩევანის მიდგომა - ჯეიმს კოულმანი. 19

2.2.3 დემოკრატიული თუ სამოქალაქო პერსპექტივა - რობერტ პატნამი (,,გამაერთიანებელი'' და ,,მაკავშირებელი'' სოციალური კაპიტალი) 20

2.3 ნდობა 21

2.4 კულტურული კაპიტალი 21

2.5 ჰომოფილია 23

2.6 სტიგმა 24

2.7 იდენტობის სტრატეგიები (სტიგმატიზაციასთან გამკლავების მეთოდები) 25

2.8 თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების გამოცდილების აღწერა 30

თავი 3. კვლევის მეთოდი 34

თავი 4. კვლევის შედეგები 35

4.1 თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების მიერ საუნივერსიტეტო სივრცეში მეორეული ჯგუფის შიგნით სოციალური კაპიტალის მოპოვება 35

4.1.1 უნივერსიტეტში ჩაბარების პროცესი 35

4.1.2 მოლოდინები და რეალობა უნივერსიტეტში სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებით 37

4.1.3 უნივერსიტეტში კურსელებთან ურთიერთობის დამყარების საწყისი პროცესი 38

4.1.4 კურსელებთან (მეორეული ჯგუფის წევრებთან) კომუნიკაცია და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა (როგორც სასწავლო, ისე თავისუფალი დროის გატარების მიზნით). 42

4.1.5 სოციალური ქსელები, როგორც კურსელებთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება 44

4.1.6 პირისპირ და დისტანციური სწავლის პერიოდში კომუნიკაციის დამყარების პროცესის შეფასება 45

4.1.7 ლექტორებთან ურთიერთობის პროცესის შეფასება 46

4.1.8 უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პერსონალთან ურთიერთობის პროცესის შეფასება 48

4.1.9 სტერეოტიპულ დამოკიდებულებასთან და დისკრიმინაციის შემთხვევებთან დაკავშირებით თავსაფრიანი გოგონების გამოცდილება 50

4.1.10 ჰიჯაბი, როგორც სტიგმის გამაძლიერებელი ფაქტორი 52

4.1.11 მეორეულ ჯგუფში სოციალური კაპიტალის მოპოვების ხელის შემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები 57

4.1.12 ჰიჯაბის მნიშვნელობა თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების ცხოვრებაში 58

4.2 მეორეული ჯგუფის შიგნით პირველადი ჯგუფის წარმოქმნა 59

4.2.1 ახლო მეგობრული ურთიერთობების დამყარება საუნივერსიტეტო სივრცეში 59

4.2.2 უნივერსიტეტში შეძენილ ახლო მეგობრებთან ერთად თავისუფალ დროს განხორციელებული აქტივობები 61

4.2.3 საუნივერსიტეტო სივრცეში ახლო მეგობრული ურთიერთობების დამყარების პროცესში ხელის შემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები 62

4.3 სოციალური კაპიტალის გავლენა თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების მიერ საუნივერსიტეტო სივრცეში კულტურული კაპიტალის მოპოვებაზე (ცოდნის მიღება, აკადემიური მიღწევები) 63

4.3.1 კომუნიკაციისას გამოვლენილი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტის მიერ ცოდნის მიღებას, აკადემიურ მიღწევებს 63

4.3.2 სოციალური ურთიერთობების მნიშვნელობა სწავლა-სწავლების და დასაქმების პროცესში 64

თავი 5. დასკვნა 66

გამოყენებული ლიტერატურა 70

თავი 1. შესავალი

1.1 საკვლევი საკითხის დასმა და მისი აქტუალობის დასაბუთება

უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სტუდენტს სთავაზობს მრავალ შესაძლებლობას. პირველ რიგში, ეს არის ადგილი, სადაც ადამიანი ეუფლება პროფესიულ ცოდნასა და უნარებს, იღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს. გარდა ამისა, საუნივერსიტეტო სივრცეში მათ ეძლევათ ახალი სოციალური კავშირების დამყარების საშუალება როგორც სხვა სტუდენტებთან, ისე პროფესორებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. უნივერსიტეტში დამყარებული კავშირები არანაკლებ ღირებულია, იქ შეძენილ ცოდნასა და უნარებზე (Gallagher & Freeman, 2022). სოციალური ურთიერთობებიდან მიღებული სარგებელი კი ქმნის სოციალურ კაპიტალს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს აკადემიური წარმატების მიღწევაში, პროფესიული კავშირების შექმნაში, დასაქმებისა თუ სამსახურის ძიების პროცესში და სხვა (Hess, 2016).

მე-20 საუკუნეში მოღვაწე გამოჩენილმა ფრანგმა სოციოლოგმა, პიერ ბურდიემ დაასკვნა, რომ საკუთარი პოზიციის მოსაპოვებლად ველში (გარემო, რომელშიც აგენტები და მათი სოციალური პოზიციებია განლაგებული (Bourdieu, 1984)) ინდივიდები იბრძვიან ოთხი სახის კაპიტალისთვის. ბურდიე გამოყოფს სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სიმბოლურ კაპიტალს. 1. სოციალური კაპიტალი - სოციალური კავშირების ქსელი არის რესურსი, რომელიც უკავშირდება სოციალურ ჯგუფთან კუთვნილებას; 2. ეკონომიკური კაპიტალი - არის მატერიალური დოვლათის ფლობა; 3. კულტურული კაპიტალი - მოიაზრებს ადამიანის მიერ მიღებულ განათლებას, მის დამადასტურებელ დიპლომს და ასევე იმ კულტურულ დონეს, რომელსაც ინდივიდი სოციალიზაციის სხვადასხვა ეტაპზე იძენს; 4. სიმბოლური კაპიტალი - მოიაზრებს რეპუტაციის, ავტორიტეტის ფლობას. „კაპიტალი ქმნის, ბადებს კაპიტალს“ - მაგალითად, ბურდიე წერს, რომ კულტურული და ეკონომიკური კაპიტალი მჭიდრო ურთიერთკავშირშია, რამდენადაც მატერიალური სახსრები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სხვადასხვა სახის კულტურული კაპიტალის მოპოვებას, მაგალითად, განათლების მიღებას. თავის მხრივ კი, გარკვეული პროფესიის შესწავლა დასაქმების საშუალებას

იძლევა. ზოგადად, ყველა სახის კაპიტალი სხვა სახის კაპიტალში ,,ითარგმნება'', რაც მათი ურთიერთშეჭიდულობის მაჩვენებელია. ასევე, მაგალითად, სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს ეკონომიკური და კულტურული კაპიტალის მოპოვებას (ბერძენიშვილი, 2019).

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში - ,,უნდა ვიყოთ თუ არა ქსელში გაწევრიანებული? სტუდენტებისთვის ქსელის მნიშვნელობის შესწავლა'' - ვკითხულობთ, რომ ადამიანი პირველ პროფესიულ კავშირებს ამყარებს საუნივერსიტეტო სივრცეში. პროფესიული ქსელის შექმნა კი ბევრ კარს და შესაძლებლობას ხსნის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტმა დროულად დაიწყოს სოციალური კავშირების დამყარება, რაც დაეხმარება დამატებითი ცოდნისა და უნარების მოპოვებაში, ხოლო ეს უკანასკნელი, მნიშვნელოვანია საქმის უკეთ შესრულებისა და სასურველი სამუშაოს მიღებისთვის (Bonds-Raacke, Raacke, & Elliott, 2017). სამსახურის მაძიებელი კვალიფიციური კადრების 70%-ზე მეტი საქმდება ისეთ კომპანიებში, სადაც მათ უკვე აქვთ სოციალური კავშირები (Brown, Topa, & Setren, 2014). ამავდროულად, პროფესიულმა კავშირებმა, შესაძლოა, რომ ადამიანს მიაწოდოს ღირებული ინფორმაცია კონკრეტულ სფეროში დასაქმების შესაძლებლობების, არსებული სამუშაო ადგილების შესახებ და დაეხმაროს პროფესიული რჩევებით, რომლებიც ხელს შეუწყობს მის კარიერულ წინსვლასა და განვითარებას (Gallagher & Freeman, 2022).

საუნივერსიტეტო სივრცეში სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს სტუდენტის აკადემიურ მიღწევებს. სტუდენტებთან დამყარებული კავშირები (დახმარების ძიება, თანამშრომლობა და თანაკურსელების მხარდაჭერა) ასევე, პროფესორებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და უნივერსიტეტის პერსონალთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლების პროცესში. ასეთი სოციალური კავშირების მეშვეობით, სტუდენტს შეუძლია, მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია მისთვის საინტერესო სასწავლო თუ ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით. კვლევის - ,, როგორ ვრცელდება აკადემიური მიღწევები: განსხვავებული სოციალური ქსელების როლი აკადემიური მოსწრების გავრცელებაში'' - მიხედვით, საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტებს შორის სოციალური ინტერაქცია დადებითად აისახება სტუდენტების

აკადემიურ მოსწრებაზე, რადგან ეს ხელს უწყობს მეტ ჩართულობას სწავლის პროცესში, ჯგუფურ სამუშაოებში და სხვა (Dokuka, Valeeva, & Yudkevich, 2020). მეგობრული ურთიერთობები დადებითად აისახება სწავლის პროცესზე, რადგან ახალ მასალაზე საუბარი, აზრების გაცვლა, ხელს უწყობს საკითხის უკეთ ათვისებას. მეგობრების კოლექტიურ მუშაობას აქვს პოზიტიური ეფექტი მათ მიღწევებზე, მოტივაციაზე, თვითშეფასებაზე და ერთმანეთისადმი მიმღებლობაზე (Johnson & Johnson, 2018).

ამერიკელმა მეცნიერმა რობერტ პატნამმა სოციალური კაპიტალის შიგნით მისი ორი ქვეკატეგორია- ,,გამაერთიანებელი''[1] და ,,მაკავშირებელი''[2] სოციალური კაპიტალი გამოყო. ,,გამაერთიანებელი'' მოიცავს ადამიანის ურთიერთობას პირველადი ჯგუფის წევრებთან, ხოლო ,,მაკავშირებელი'' კი აღწერს მეორეული ჯგუფის წევრებთან ურთიერთობას. პირველადი ჯგუფის წევრებს შორის არსებობს მჭიდრო ემოციური კავშირები (მაგალითად, ახლო მეგობრები), ხოლო მეორეული ჯგუფის წევრები კი ერთმანეთთან ინსტრუმენტული მიზნებით ურთიერთობენ (მაგალითად, კურსელები, პროფესორები, უნივერსიტეტის პერსონალი და ა.შ.) (Putnam, R. D. 2000 მოტანილია წულაძე, 2020). მაკავშირებელი სოციალური კაპიტალი მოიაზრებს იმ აქტივობებს, რომლებსაც კურსელები ერთობლივად ახორციელებენ სასწავლო მიზნებისთვის, მაგალითად, დახმარების გაწევა დავალების შესრულების დროს, ჯგუფურ სამუშაოებში მონაწილეობა. გარდა ამისა, თავისუფალ დროს სპორტულ თუ გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობა და ა.შ. (წულაძე, 2020). ამავდროულად, პროფესორებთან ურთიერთობა სასწავლო კურიკულუმის ფარგლებში, ლექცია-სემინარების დროს ინტერაქცია, სასურველ შეკითხვაზე უკუკავშირის მიღება. ასევე, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან თუ უნივერსიტეტის პერსონალთან ურთიერთობა, მათგან საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა საკითხზე კონსულტაციის, დახმარების მიღება. საუნივერსიტეტო სივრცეში ურთიერთობები ძირითადად ინსტრუმენტული მიზნით მიმდინარეობს, თუმცა შესაძლებელია, რომ მაგალითად, რამდენიმე კურსელის ურთიერთობა ახლო მეგობრობაში გადაიზარდოს, ამგვარად, ყალიბდება პირველადი

[1] ,,გამაერთიანებელი'' – bonding

[2] ,,მაკავშირებელი'' – bridging

ჯგუფი მეორეული ჯგუფის შიგნით. გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი მოიაზრებს ახლო მეგობრულ ურთიერთობებს, მაგალითად, უნივერსიტეტის მიღმა ერთობლივად თავისუფალი დროის გატარებას, პირადი ინფორმაციის განდობას და სხვა (წულაძე, 2020).

საუნივერსიტეტო სივრცეში სხვადასხვა მიზეზების გამო, შესაძლოა, რომ ფერხდებოდეს სოციალური კაპიტალის მოპოვების პროცესი. როგორც კვლევაში - „უნივერსიტეტი, როგორც სოციალური კაპიტალის წყარო ჩილეში“ - ვკითხულობთ, ერთ-ერთი ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს ჰომოფილია (homophily), რომელიც მოიაზრებს შემდეგს: მსგავს ადამიანებს შორის კონტაქტი უფრო მაღალია, ვიდრე განსხვავებულ ადამიანებს შორის. ჰომოფილიის მაღალი დონე იწვევს დისტანციას აქტორებს შორის სოციალურ ქსელში და ეს დისტანცია გავლენას ახდენს სოციალური კაპიტალის მოპოვების პროცესზე. ჰომოფილიას შეუძლია უმცირესობათა ჯგუფები (მაგალითად, ეთნიკური უმცირესობები, რელიგიური უმცირესობები და სხვა) არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს უმრავლესობის ჯგუფთან კავშირების დამყარებისას. ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა მაგალითად: რელიგიური აღმსარებლობა, ეთნიკური წარმომავლობა და სხვა, შესაძლოა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდეს ჰომოფილიის გამოწვევის პროცესში საუნივერსიტეტო სივრცეში (Libra, Vargas, & Céspedes, 2021).

საზოგადოების მხრიდან რელიგიური უმცირესობების მიმართ განწყობის ჩამოყალიბებას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი. მაგალითად, ამ მხრივ, შესაძლოა, აღინიშნოს მედიისა და სასკოლო განათლების როლი, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს საზოგადოებრივი აზრის კონსტრუირების პროცესში (ჯავახიშვილი, 2018). კვლევის - ,, რელიგია საჯარო სკოლებში'' - მიხედვით, მცდელობის მიუხედავად, ვერ ხერხდება მოსწავლეებისთვის რელიგიური უპირატესობებისგან თავისუფალი ინფორმაციის მიწოდება და პრობლემად რჩება რელიგიური კონფესიების ნეგატიურ ჭრილში წარმოჩენა (ღვინიანიძე & ბარქაია, 2014). კვლევის - „სტუდენტების განწყობა უმცირესობებისადმი და მედიის როლი“ - შედეგად გამოიკვეთა, რომ რელიგიური უმცირესობების შესახებ უმეტესწილად შუქდება ისეთი საკითხები, რომლებიც ეხება კონფლიქტებს, დანაშაულს, ტერორისტულ აქტებს და სხვა. ეს

ყოველივე კი ხელს უწყობს სტერეოტიპების ინტერნალიზებას. კვლევის მონაწილეები, რიგ შემთხვევებში, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს იყენებდნენ, როგორც სინონიმურ ტერმინებს. სტუდენტები ავლებდნენ სადემარკაციო ხაზს მათსა და ,,სხვა'' რელიგიების წარმომადგენლებს შორის (სართანია, 2017). აქედან გამომდინარე, საქართველოს უნივერსიტეტებში ჰომოფილიის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს რელიგიური აღმსარებლობა. ზემოხსენებულ კვლევაში, სტუდენტები რელიგიურ უმცირესობებზე საუბრისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ მუსლიმებზე, როგორც რაოდენობრივად მრავალრიცხოვან რელიგიურ ჯგუფზე, ხოლო სხვა რელიგიურ უმცირესობებს მოიხსენიებდნენ, როგორც საჯაროდ ნაკლებად აქტიურ, შესაბამისად, ნაკლებად საფრთხის შემცველ მცირე ჯგუფებს (სართანია, 2017). 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის 83,4% არის მართლმადიდებელი, ხოლო 10,7% - მუსლიმი. მონაცემების თანახმად, საქართველოში მართლმადიდებელი უმრავლესობის შემდეგ, მუსლიმი თემი ყველაზე მსხვილი რელიგიური თემია (სიხარულიძე, ურუშაძე, ხმალაძე, & ჭიჭინაძე, 2016).

ამერიკელმა სოციოლოგმა, ირვინგ გოფმანმა გამოყო სტიგმის სამი ძირითადი ტიპი, რომელთა შორის ერთ-ერთია სტიგმა, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ რასასთან, ეროვნებასთან, რელიგიურ აღმსარებლობასთან, და სხვა (The LibreTexts libraries , 2021). ნასირისა და ალ-ამინის კვლევაში ვკითხულობთ, რომ მუსლიმი სტუდენტების აზრით, საუნივერსიტეტო სივრცეში მათ შესახებ გავრცელებულია სტერეოტიპები (მაგალითად, „მუსლიმი ტერორისტი“, „ჩაგრული მუსლიმი ქალი“ და სხვა), რომ ისლამი აღიქმება ძალადობრივ და ექსტრემისტულ რელიგიად (Nasir & Al-Amin, 2006). გოფმანის თანახმად, სოციუმის რეაგირება აშკარა და დაფარულ სტიგმაზე განსხვავებულია. ვიზუალურად რაც უფრო თვალსაჩინოდაა გამოხატული სტიგმა, მით უფრო მარტივად შესამჩნევია ინდივიდისთვის და სტიგმატიზაციის პროცესი უფრო ძლიერდება (ხეჩუაშვილი, 2016). მაგალითად, მუსლიმი ქალების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეტი ბარიერი ექმნებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ატარებენ თავსაფარს, ვიდრე მათ, ვისაც ვიზუალურად არ ეტყობა, რომ მუსლიმია (ჯავახიშვილი, 2018). გასულ წელს, ინდოეთის ერთ-ერთ ქალაქში უნივერსიტეტის იმ მუსლიმ სტუდენტებს, რომლებიც ჰიჯაბს ატარებდნენ, შეექმნათ

სირთულეები მეორეულ ჯგუფში ინსტრუმენტულ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რადგან მათ ადმინისტრაციის მხრიდან ეზღუდებოდათ თავსაფრით გამოცდაზე დასწრება (Afeef, 2022). სტატიაში - ,, ისტორია რელიგიური ნაციონალიზმის მარწუხებში: ისლამი და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი'' – ვკითხულობთ, რომ თავსაფრიანი მუსლიმი სტუდენტები ხშირად იქცევენ ყურადღებას სალექციო პროცესში. მაგალითად, მათ მიმართ ზოგიერთი ლექტორი ნეგატიურ რეპლიკებს გამოთქვამდა აუდიტორიის თანდასწრებით (შალვაშვილი, 2021). გარდა იმისა, რომ მსგავსი ვითარება ბარიერს ქმნის უნივერსიტეტში არსებულ იერარქიულ ურთიერთობებთან დაკავშირებით, ასევე ხელს უშლის კულტურული კაპიტალის მოპოვებასაც განათლების მიღების ასპექტში, რაც სტუდენტებს აყენებს არათანასწორ პირობებში. ამავდროულად, სოციალური კავშირების მნიშვნელობაზე მიუთითებენ თავად მუსლიმი ქალები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ძლიერი სოციალური კაპიტალი დასაქმების მეტ შესაძლებლობას იძლევა (ჯავახიშვილი, 2018).

ზემოაღნიშნული ვითარება მიუთითებს, რომ თავსაფრიანი მუსლიმი გოგონები საუნივერსიტეტო სივრცეში აწყდებიან გარკვეულ ბარიერებს სოციალური ინტერაქციის პროცესში. აქედან გამომდინარე, საინტერესოა მეორეულ ჯგუფში მიმდინარე ინსტრუმენტული ურთიერთობების შესწავლა, ისევე როგორც, პირველად ჯგუფში არსებული ურთიერთობების კვლევა; ასევე, თუ როგორ აისახება სოციალური კავშირები კულტურული კაპიტალის მოპოვებაზე, კერძოდ, განათლების მიღების პროცესზე და ზოგადად, რა ფაქტორები უწყობს/უშლის ხელს ამ ჯგუფის მიერ საუნივერსიტეტო სივრცეში სოციალური ურთიერთობების დამყარებას. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების მიერ საუნივერსიტეტო სივრცეში სოციალური კაპიტალის მოპოვების პროცესის შესწავლა.

1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები

მიზანი:

კვლევის მიზანია თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების მიერ საუნივერსიტეტო სივრცეში სოციალური კაპიტალის მოპოვების თავისებურებების შესწავლა.

ამოცანები:

- შევისწავლოთ, თუ როგორ ახდენენ თავსაფრიანი მუსლიმი გოგონები საუნივერსიტეტო სივრცეში მეორეული ჯგუფის შიგნით სოციალური კაპიტალის მოპოვებას (ამ პროცესის ხელის შემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები);
- შევისწავლოთ, როგორ ხდება მეორეული ჯგუფის შიგნით პირველადი ჯგუფის წარმოქმნა (ამ პროცესის ხელის შემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები);
- შევისწავლოთ, თუ როგორ აისახება სოციალური კაპიტალი თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების მიერ საუნივერსიტეტო სივრცეში კულტურული კაპიტალის მოპოვებაზე (ცოდნის მიღება, აკადემიური მიღწევები);

1.3 ძირითადი ცნებების კონცეპტუალიზაცია-ოპერაციონალიზაცია

სტუდენტი - პირი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესდებით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2023).

ინდიკატორები: 2020 წლამდე ჩაირიცხა უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საფეხურზე და არის მუსლიმი გოგონა, რომელიც ატარებს თავსაფარს.

უნივერსიტეტი - ისეთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მოიცავს სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამებს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2023).

ინდიკატორები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ალტე უნივერსიტეტი.

მუსლიმი - ისლამის მიმდევარი ადამიანი (Cambridge Dictionary, 2023).

ჰიჯაბი - ჰიჯაბი არაბული წარმოშობის სიტყვაა და აღნიშნავს ისეთ საგანს, რომლის მეშვეობითაც ქალი დაცულია სხვისი თვალთახედვისგან (გელოვანი, 2005).

სოციალური კაპიტალი - სოციალური კავშირების ქსელი არის რესურსი, რომელიც უკავშირდება სოციალურ ჯგუფთან კუთვნილებას (ბერძენიშვილი, 2019).

ინდიკატორები: პირველადი და მეორეული ჯგუფის წევრებთან ურთიერთობა.

პირველადი ჯგუფი - პირველადი ჯგუფის წევრებს შორის არსებობს მჭიდრო ემოციური კავშირები (Putnam, R. D. 2000 მოტანილია წულაძე, 2020).

ინდიკატორები: მაგალითად, ახლო მეგობრები.

მეორეული ჯგუფი - მეორეული ჯგუფის წევრები ერთმანეთთან ინსტრუმენტული მიზნებით ურთიერთობენ (Putnam, R. D. 2000 მოტანილია წულაძე, 2020).

ინდიკატორები: მაგალითად, კურსელები, პროფესორები, უნივერსიტეტის პერსონალი და ა.შ.

კულტურული კაპიტალი - მოიაზრებს ადამიანის მიერ მიღებულ განათლებას, მის დამადასტურებელ დიპლომს და ასევე იმ კულტურულ დონეს, რომელსაც ინდივიდი სოციალიზაციის სხვადასხვა ეტაპზე იძენს (ბერძენიშვილი, 2019).

ინდიკატორები: ცოდნის მიღება, აკადემიური მიღწევები.

ჰომოფილია - ჰომოფილიის მაღალი დონე იწვევს დისტანციას აქტორებს შორის სოციალურ ქსელში და ეს დისტანცია გავლენას ახდენს სოციალური კაპიტალის მოპოვების პროცესზე. ჰომოფილიას შეუძლია უმცირესობათა ჯგუფები (მაგალითად, ეთნიკური უმცირესობები, რელიგიური უმცირესობები და სხვა) არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს უმრავლესობის ჯგუფთან კავშირების დამყარებისას (Libra, Vargas, & Céspedes, 2021).

ინდიკატორები: ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა მაგალითად: რელიგიური აღმსარებლობა, ეთნიკური წარმომავლობა და სხვა, შესაძლოა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდეს ჰომოფილიის გამოწვევის პროცესში საუნივერსიტეტო სივრცეში (Libra, Vargas, & Céspedes, 2021).

სტიგმა - ნეგატიურ ნიშანს წარმოადგენს, რომელიც განაპირობებს ინდივიდის დისკრედიტაციას, საზოგადოებისგან გამოარჩევს, იწვევს პიროვნულ გაუფასურებას და ამცირებს მას სხვების თვალში (Goffman, 1963).

ინდიკატორები: ირვინგ გოფმანმა გამოყო სტიგმის სამი ძირითადი ტიპი, რომელთა შორის ერთ-ერთია სტიგმა, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ რასასთან, ეროვნებასთან, რელიგიურ აღმსარებლობასთან (The LibreTexts libraries , 2021).

1.4 შერჩევის მოდელის აღწერა

კვლევისთვის სამიზნე ჯგუფად შეირჩნენ მუსლიმი გოგონები, რომლებიც ატარებენ თავსაფარს, არიან საქართველოს მოქალაქეები და ამჟამად აქვთ სტუდენტის აქტიური სტატუსი. შერჩევისთვის გამოყენებულ იქნა თოვლის გუნდის მეთოდი, რომელიც მკვლევარს საშუალებას აძლევს, რომ ჯგუფის ერთ წევრთან დაკავშირებით, სხვა წევრებზე წვდომაც მოიპოვოს და შეძლოს მათი ჩართვა კვლევაში. შერჩევის ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია სწორედ სტიგმატიზებულ ჯგუფის წევრთა რეკრუტირებისთვის (წულაძე, 2020). მოცემული კვლევის ფარგლებში, მკვლევრები დაუკავშირდნენ სოციალური ქსელის მეშვეობით სამიზნე ჯგუფის ერთ-ერთ წევრს და შემდეგ სთხოვეს ჯგუფის სხვა წევრებთან დაკავშირება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 12-მა მონაწილემ, რომელთა შორისაც 5 რესპონდენტი იყო როგორც რელიგიური, ისე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი (ქისტები და აზერბაიჯანელები), ხოლო 7 კი მხოლოდ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი (ქართველები აჭარიდან, ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან). სტუდენტები წარმოდგენილნი იყვნენ როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის

სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ალტე უნივერსიტეტი.

ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლენილი ტენდენციების შესაფასებლად, მნიშვნელოვანი იყო ექსპერტთა მოსაზრებები. შესაბამისად, კვლევაში ასევე გამოყენებულია ექსპერტული შერჩევა (მიზნობრივი შერჩევის ნაირსახეობა). ექსპერტთა ვინაობა განისაზღვრა მათი კვალიფიკაციის მიხედვით, საკვლევი საკითხიდან გამომდინარე. კერძოდ, შეირჩა ექსპერტები ფსიქოლოგიისა და რელიგიის სოციოლოგიის მიმართულებებიდან.

1.5 ინფორმაციის მოპოვების ძირითადი მეთოდების აღწერა:

ბიოგრაფიულ-ნარატიულ ინტერვიუში რესპონდენტი თავისი ცხოვრებიდან მოგვითხრობს იმ პერსონალურ ისტორიებს თუ ნარატივებს, რომლებმაც გავლენა მოახდინა მისი გამოცდილების ფორმირებაზე (წულაძე, 2020). ეს მეთოდი შეირჩა, რადგან ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ რელევანტურია ისეთ ვითარებაში, როცა ჩვენი მიზანია იმის დადგენა, თუ როგორ გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე მოვლენათა ესა თუ ის ერთობლიობა (კაპაი, 2000). ამ მეთოდის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ ძვირფასი ინსტრუმენტია, რათა შევისწავლოთ რომელიმე კონკრეტული პროცესის დინამიკა. ის ნათლად წარმოაჩენს განსაზღვრული პრობლემის გენეზისს, შესაძლო რეგრესიას ან პროგრესს. შესაბამისად, აღნიშნული კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ეს იყო ინფორმაციის მოპოვების რელევანტური მეთოდი (კაპაი, 2000).

ასევე მომზადდა გზამკვლევი ექსპერტული ინტერვიუებისთვის. თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების მიერ საუნივერსიტეტო სივრცეში სოციალური კაპიტალის მოპოვების თავისებურებების შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მისაღებად ინტერვიუს გზამკვლევში გაიწერა შესაბამისი შეკითხვები.

1.6 ინფორმაციის დამუშავების ძირითადი მეთოდის აღწერა

ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუების ჩატარების შემდეგ, შეიქმნა მათი ტრანსკრიპტები. განხორციელდა მოპოვებული მონაცემების კოდირება-კატეგორიზაცია. კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია კი დამუშავდა თვისებრივი კონტენტანალიზის მეთოდით, რომელიც ,,ტექსტის დეტალურ და სისტემატურ ანალიზსა და ინტერპრეტაციას ახდენს კონკრეტული შინაარსის, თემების თუ ტენდენციების გამოსავლენად'' (წულაძე, 2020).

1.7 კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა

საქართველოში მცხოვრები მუსლიმი ქალების საჭიროებების თუ მათ წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ კვლევები ქართულ რეალობაში არსებობს, მათ შორის ყურადღება გამახვილებულია განათლებაზე ხელმისაწვდომობის საკითხებზეც. გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული კვლევის ფოკუსი არის თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების მიერ საუნივერსიტეტო სივრცეში სოციალური კაპიტალის მოპოვება, ვფიქრობთ, რომ ეს ნაშრომი გარკვეულწილად გაამრავალფეროვნებს სამეცნიერო ლიტერატურას, გამოკვეთს უნივერსიტეტში არსებულ ვითარებას და ავლენს ახალ გამოწვევებს. ნაშრომი საინტერესო იქნება იმ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მუშაობენ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის საკითხებზე.

1.8 კვლევის შეზღუდვები

მოცემული კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ გამოყენებულია მხოლოდ თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომლის საფუძველზე ვერ ხერხდება მიღებული შედეგების მთელ სამიზნე ჯგუფზე განზოგადება. შერჩევისთვის გამოყენებულია თოვლის გუნდის მეთოდი, რომელსაც დადებით მხარესთან ერთად თავისი ნაკლოვანებაც გააჩნია, კერძოდ, კვლევის მონაწილეები მკვლევრებს ძირითადად აკავშირებენ მათი მსგავსი მახასიათებლების მქონე ადამიანებთან. გარდა ამისა, მონაწილეები წარმოდგენილნი იყვნენ მხოლოდ ხუთი უმაღლესი სასწავლებლიდან, შესაბამისად, დანარჩენი უნივერსიტეტის თავსაფრიან მუსლიმ სტუდენტთა გამოცდილება დარჩა მოცემული კვლევის მიღმა.

თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1 პიერ ბურდიე - კაპიტალის ფორმები

გამოჩენილ ფრანგ სოციოლოგს, პიერ ბურდიეს, ეკუთვნის ისეთი უმნიშვნელოვანესი სოციოლოგიური და ფილოსოფიური კონცეფცია, როგორიცაა ჰაბიტუსის ცნება; იგი წარმოადგენს ადამიანის ზოგადი მიდრეკილებების, სურვილების, გამოცდილების, მისი კოგნიტური, ანალიტიკური თუ რაციონალური შემეცნების ჯამს, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ ველზე მის პოზიციონირებას. ჰაბიტუსი ერთგვარად არის ეგზისტენციალიზმსა და სტრუქტურალიზმს შორის საერთოს გამონახვის საშუალება - ერთი მხრივ, ადამიანის ეგზისტენციალური მოცემულობა, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური ველის პირმშო. ბურდიეს თანახმად, ველი წარმოადგენს გარემოს, რომელშიც აგენტები და მათი სოციალური პოზიციებია განლაგებული. ამ ველში თითოეული კონკრეტული აგენტის პოზიცია არის ველის სპეციფიკური წესების, აგენტის ჰაბიტუსისა და აგენტის კაპიტალის ურთიერთქმედების შედეგი. ველის მწყობრი სისტემის მეშვეობით ხდება სოციალური სივრცის კონსტრუირება, სადაც კაპიტალი, შესაძლოა, ერთდროულად იყოს პოზიციონირებისათვის ბრძოლის როგორც მიზანი, ისე საშუალება. ველის ფარგლებში მიმდინარეობს კაპიტალის წარმოება და ცირკულირება (ბერძენიშვილი, 2019).

საკუთარი პოზიციის მოსაპოვებლად ველში ინდივიდები იბრძვიან ოთხი სახის კაპიტალისთვის. ბურდიე გამოყოფს სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სიმბოლურ კაპიტალს:

1. სოციალური კაპიტალი - სოციალური კავშირების ქსელი არის რესურსი, რომელიც უკავშირდება სოციალურ ჯგუფთან კუთვნილებას;
2. ეკონომიკური კაპიტალი - არის მატერიალური დოვლათის ფლობა (მაგალითად, ფული);
3. კულტურული კაპიტალი - მოიაზრებს ადამიანის მიერ მიღებულ განათლებას, მის დამადასტურებელ დიპლომს და ასევე იმ კულტურულ დონეს, რომელსაც ინდივიდი სოციალიზაციის სხვადასხვა ეტაპზე იძენს;

4. სიმბოლური კაპიტალი - მოიაზრებს რეპუტაციის, ავტორიტეტის ფლობას (ბერძენიშვილი, 2019).

2.2 სოციალური კაპიტალი

ადამიანი სოციალური არსებაა. ბევრი რამ, რაც ჩვენ გვინდა და გვჭირდება, შეუძლებელია შეიქმნას მხოლოდ ჩვენი ძალისხმევით, ამიტომ საჭიროა რაიმე სახის თანამშრომლობა ან ურთიერთგაგება. სარგებელს, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ამ კომუნიკაციიდან, შეგვიძლია ვუწოდოთ სოციალური კაპიტალი. სოციალური კაპიტალის ცენტრალური წინადადება არის ის, რომ „ურთიერთობები მნიშვნელოვანია“ და რომ სოციალური ქსელები ღირებული აქტივია. სოციალური კაპიტალი არის სოციალური კონტექსტის ასპექტები, რომლებსაც აქვთ პროდუქტიული სარგებელი. ის მოიცავს სოლიდარობის ან კეთილგანწყობის ფლობას ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს შორის. სოციალური კაპიტალი არის ის, რაც ადამიანებს აძლევს თანამშრომლობის, კოორდინაციისა და თანაარსებობის საშუალებას. ეს აუცილებელია ადამიანის სოციალური არსებობისთვის. სოციალური კაპიტალის გარეშე ადამიანები თანაარსებობას ვერ შეძლებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ სოციალური კაპიტალი არის საერთო ღირებულებები, ნორმები, ნდობა და კუთვნილება, რაც შესაძლებელს ხდის სოციალურ გაცვლას. სოციალური კაპიტალის კონცეფცია გამოიყენება ადამიანთა ინტერაქციის, თანამშრომლობის, ევოლუციის და სხვა საკითხების საკვლევად. სოციალური კაპიტალის თავდაპირველი თეორიული განვითარება, როგორც წესი, მიეკუთვნება სამ ავტორს, რომლებიც ამ კონცეფციას აღწერენ განსხვავებული პერსპექტივიდან და შექმნეს სხვადასხვა თეორიული და კონცეპტუალური დასკვნები (Claridge, 2018). ეს ავტორები არიან:

- კაპიტალის თეორია - პიერ ბურდიე
- რაციონალური არჩევანის მიდგომა - ჯეიმს კოულმანი
- დემოკრატიული თუ სამოქალაქო პერსპექტივა - რობერტ პატნამი (Claridge, 2018).

2.2.1 სოციალური კაპიტალი - პიერ ბურდიე

სოციალური კაპიტალი ის არსებული ან პოტენციური რესურსებია, რომლებიც დაკავშირებულია ურთიერთგაცნობისა და აღიარების მეტად თუ ნაკლებად ინსტიტუციონალიზებული ურთიერთობების მდგრადი ქსელის ფლობასთან, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ჯგუფის წევრობასთან. ბურდიესეული სოციალური კაპიტალის ძირითადი არსი ემყარება იმის გაცნობიერებას, რომ კაპიტალი არაა მარტო ეკონომიკური კონცეფცია, სოციალური გაცვლები არ გამომდინარეობს მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან და უნდა აერთიანებდეს „კაპიტალისა თუ მოგების თითოეულ ფორმას“. პიერ ბურდიე აქცენტს სვამს სტრუქტურულ შეზღუდვებსა და ინსტიტუციურ რესურსების არათანასწორ მისაწვდომობაზე, კერძოდ, გენდერზე, მატერიალური მდგომარეობაზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით. ის სოციალურ კაპიტალს განიხილავდა როგორც ადამიანის პირად საკუთრებას და არა როგორც კოლექტიურ ფენომენს. ბურდიეს მიხედვით, სოციალური კაპიტალი არ არის ის ფენომენი, რომელზეც თანაბრად მიუწვდებათ ხელი ჯგუფის წევრებს, მაგრამ ხელმისაწვდომია იმ პირებისთვის, რომელებიც მის მიღებას ცდილობენ სტატუსისა თუ ძალაუფლების მოპოვებით (Bourdieu, 1982 as cited in Claridge, 2018).

2.2.2 რაციონალური არჩევანის მიდგომა - ჯეიმს კოულმანი.

კოულმანის სოციალური კაპიტალის კონცეფციის მიზანი იყო ეკონომისტების რაციონალური მოქმედების პრინციპის იმპორტირება სოციალური სისტემების ანალიზში გამოსაყენებლად, ამ პროცესში სოციალური ორგანიზაციის გაუქმების გარეშე. როგორც ასეთი, კოულმანმა სოციოლოგია და ინდივიდების სოციალური ქმედებები დააკავშირა ეკონომისტების რაციონალურ იდეებთან. თუმცა, როდესაც ბურდიე ეხებოდა ძალაუფლებას, სტატუსს და სოციალური კაპიტალის არათანაბარ განაწილებას ინდივიდებს შორის, კოულმანი სოციალურ კაპიტალს ხედავდა როგორც საზოგადოებრივ სიკეთეს, სადაც ინდივიდების ქმედებებს საერთო სარგებელი მოაქვს. ამგვარად, კოულმანმა სოციალური კაპიტალი განსაზღვრა როგორც ჯგუფის კოლექტიური აქტივი. ძალაუფლების ეს უგულებელყოფა და კონფლიქტი, ალბათ, გამომდინარეობს კოულმანის პრინციპიდან, რომ სოციალური კაპიტალი, ძირითადად, სოციალური სტრუქტურის პროდუქტია. ამ თვალსაზრისით, სოციალური კაპიტალი

არის როგორც კერძო, ისე საჯარო სიკეთე, რომელსაც სარგებელი მოაქვს ჯგუფში ყველა წევრისთვის. ძლიერი ოჯახები ან თემები წარმოიქმნება წევრებს შორის ძლიერი სოციალური კავშირის შედეგად (Coleman, 1988 as cited in Claridge, 2018).

2.2.3 დემოკრატიული თუ სამოქალაქო პერსპექტივა - რობერტ პატნამი (,,გამაერთიანებელი'' და ,,მაკავშირებელი'' სოციალური კაპიტალი)

რობერტ პატნამი სოციალურ კაპიტალს განიხილავდა როგორც საზოგადოებრივ სიკეთეს - სამოქალაქო ორიენტაციის, მონაწილეობითი პოტენციალისა და ნდობის რაოდენობას, რომლებზეც ხელი მიუწვდებათ სახელმწიფოებს, ერებსა თუ ქალაქებს. სოციალური კაპიტალი ეხება „სოციალური ორგანიზაციების მახასიათებლებს, როგორებიცაა ქსელები, ნორმები და ნდობა, რომლებიც ხელს უწყობენ მოქმედებას და თანამშრომლობას ორმხრივი სარგებლისთვის. სოციალური კაპიტალი შეიძლება იყოს ინტერპერსონალური თანამშრომლობის ხელშემწყობი (Putnam, 2000 as cited in Claridge, 2018).

პატნამმა სოციალური კაპიტალის შიგნით მისი ორი ქვეკატეგორია - ,,გამაერთიანებელი'' და ,,მაკავშირებელი'' სოციალური კაპიტალი გამოყო. გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი არის სოციალური კაპიტალის ტიპი, რომელიც აღწერს კავშირებს ჯგუფში ან საზოგადოებაში, რომლებსაც, როგორც წესი, აქვთ ძლიერი, ახლო ურთიერთობები. მაგალითად, მოიცავს ოჯახის წევრებს, ახლო მეგობრებს (პირველადი ჯგუფი). გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი ეხება ინდივიდებს შორის ურთიერთობების მაღალი სიმკვრივის მქონე ქსელებს, სადაც ქსელში მყოფი ადამიანები არიან ურთიერთდაკავშირებულნი და ისინი ხშირად ურთიერთობენ ერთმანეთთან (Putnam, 2000 as cited in Claridge, 2018).

მაკავშირებელი სოციალური კაპიტალი არის სოციალური კაპიტალის ტიპი, რომელიც აღწერს კავშირებს მეორეული ჯგუფის წევრებთან. მეორეული ჯგუფის წევრები ერთმანეთთან ინსტრუმენტული მიზნებით ურთიერთობენ (მაგალითად, კურსელები, პროფესორები და ა.შ.). ამ შემთხვევაში, მაკავშირებელი სოციალური კაპიტალის ფარგლებში ადამიანები ოპერირებენ კონკრეტული საერთო მიზნების

მისაღწევად - მაგალითად, სასწავლო მიზნები. მეორეული ჯგუფი დაფუძნებულია უფრო მეტად ინსტიტუციონალიზებულ ურთიერთობებზე, სადაც მოქმედებს გარკვეული წესები სხვადასხვა საქმიანობის რეგულირებისთვის (Putnam, 2000 as cited in Claridge, 2018).

2.3 ნდობა

ნდობა, სოციალური ქსელები (network) და სოციალური ორგანიზაციები ის ელემენტებია, რომლებიც მნიშვნელოვანია საზოგადოების ფუნქციონირებისათვის. სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს ჯგუფის პროდუქტიულ აქტივობას იმ შემთხვევაში, როდესაც მის წევრებს შორის ნდობის ხარისხი მაღალია. ამ შემთხვევაში, ადამიანებს შორის საიმედოობის განცდა ეხმარება მათ მიზნების მიღწევაში. კოულმენი გამოყოფს სოციალური კაპიტალის სხვადასხვა ფორმას. მათ შორის კი ერთ-ერთია - ,,ვალდებულებები, მოლოდინები და სტრუქტურის სანდოობა''. ეს ფორმა მოიცავს ორ მახასიათებელს - სოციალური გარემოს მიმართ სანდოობასა და დაკისრებული ვალდებულებების რეალურ მოცულობას. როდესაც ერთი ადამიანი მეორეს ეხმარება, არსებობს მოლოდინი იმისა, რომ საჭიროების შემთხვევაში მეორე პიროვნებაც მას გაუწევს დახმარებას. ხდება ერთგვარი გაცვლა, რომელიც დაფუძნებულია ერთმანეთის მიმართ ნდობასა და გარკვეული ვალდებულებების ქონაზე (Coleman, 1988).

პატნამი თვლის, რომ სოციალური ქსელის ,,შეკრულობის'' მაღალი ხარისხის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი არის ნდობა. როდესაც ნდობა დაბალია, სოციალური ქსელი უფრო დეზორგანიზებულია. ნდობის მაღალი დონე დამახასიათებელია პირველადი ჯგუფისთვის, ანუ სანდოობა უფრო ძლიერია იქ, სადაც არსებობს ,,გამაერთიანებელი'' სოციალური კაპიტალი, ხოლო უფრო სუსტია ,,მაკავშირებელი'' სოციალური კაპიტალის შემთხვევაში (მეორეული ჯგუფი) (Putnam, 2000).

2.4 კულტურული კაპიტალი

კულტურული კაპიტალი, შესაძლოა, რომ არსებობდეს სამი სახით, ესენია: 1. მატერიალიზებულ მდგომარეობაში - ანუ სხეულისა და გონების ხანგრძლივი დისპოზიციის სახით; 2. ობიექტურ მდგომარეობაში - კულტურული ნივთების სახით

(სურათები, წიგნები, ინსტრუმენტები, მანქანები და ა.შ.) და 3. ინსტიტუციონალიზებულ მდგომარეობაში - მაგალითად - უმაღლესი განათლება (Bourdieu, 1982 as cited in Richardson, 1986).

ბურდიე ამბობს, რომ კულტურული კაპიტალის კონცეფცია გაჩნდა თეორიული ვარაუდის სახით, როდესაც სურდა აეხსნა, თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს ორი ცვლადი - მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება და სოციალური კლასი. აქ ძირითადი აქცენტი არის იმაზე, რომ განსხვავებული ფენის წარმომადგენლებს (სხვადასხვა ეკონომიკური კაპიტალის მქონეებს) გაჩნიათ განსხვავებული რესურსები კულტურული კაპიტალის მოპოვების თვალსაზრისით (Bourdieu, 1982 as cited in Richardson, 1986). ბურდიემ დაადგინა, რომ საშუალო კლასის მშობლების შვილებს გააჩნიათ ისეთი კულტურული კაპიტალი, რომელიც მოიცავს როგორც ენობრივ, ისე სოციალურ და კულტურულ უნარებს. იმისათვის, რომ სასკოლო სივრცეში მოსწავლეს წარმატებისათვის მიეღწია, ის საჭიროებდა ამ უნარების ფლობას. სკოლას კი არ შეეძლო ამ კომპეტენციების მუშათა კლასის წარმომადგენელი მოსწავლეებისათვის გადაცემა. შესაბამისად, სასკოლო შეფასებები რეალურად ასახავდა და ხელს უწყობდა ეკონომიკურ უთანასწორობას (Klimczuk, 2015). აქედან გამომდინარე, ნათლად ვხედავთ, რომ, ფაქტობრივად, ყველა კაპიტალი მეორე კაპიტალში ითარგმნება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სოციალიზაციის ძირითადი აგენტი არის ოჯახი, სადაც განსაზღვრულია, თუ ეს ბავშვი, მათ შორის, რომელი კულტურული ველის წარმომადგენელი იქნება. ჩვენი სოციალური კაპიტალი (პირველადი და მეორეული ჯგუფი) და ეკონომიკური კაპიტალი (ფულადი შესაძლებლობა) კავშირშია განათლების მიღების შესაძლებლობასთან, ხოლო ეს უკანასკნელი, კულტურული კაპიტალის ნაირსახეობას წარმოადგენს.

ბურდიემ აჩვენა, რომ ინდივიდებს შეუძლიათ გამოიყენონ კაპიტალის მრავალი ფორმა, რომლებსაც ისინი სხვადასხვა ხარისხით ფლობენ. ესენია: ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და სიმბოლური კაპიტალი. კაპიტალი გროვდება და სხვადასხვა სოციალური კლასის წევრებისგან მემკვიდრეობით გადაეცემა მომავალ თაობას და შეიძლება გამოყენებულ იქნას უთანასწორობისა და მოხმარების ნიმუშების წარმოებისთვის ან რეპროდუცირებისთვის (Klimczuk, 2015).

რაც შეეხება კულტურული კაპიტალის სამ სახეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მატერიალიზებული კაპიტალი გამოიხატება ჰაბიტუსის, ანუ ინდივიდუალური ხასიათისა და აზროვნების გზით, რომელსაც ასევე განსაზღვრავს მემკვიდრეობით მიღებული ნორმები და ღირებულებები. ობიექტივირებული კულტურული კაპიტალი მოიცავს ინდივიდის საკუთრებაში არსებულ ფიზიკურ ობიექტებს. კულტურული ნივთები, როგორიცაა ლიტერატურა, ხელოვნების ნიმუშები, ინსტრუმენტები შეიძლება გარდაიქმნას ეკონომიკურ კაპიტალად და პირიქით. რამდენადაც, ზოგიერთ შემთხვევაში, კულტურულ ნიმუშებს აქვს მაღალი ფასი. ინსტიტუციონალიზებული კულტურული კაპიტალი შედგება შეძენილი და სოციალური საგანმანათლებლო კომპეტენციებისგან, მაგალითად, აკადემიური სერტიფიკატებისაგან ან კვალიფიკაციებისაგან. ინსტიტუციური აღიარება მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე, რადგან ის იძლევა დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას (Klimczuk, 2015).

2.5 ჰომოფილია

ჰომოფილია არის პრინციპი, რომლის მიხედვითაც მსგავს ადამიანებს შორის კონტაქტის მაჩვენებელი არის უფრო მაღალი, ვიდრე განსხვავებულ ადამიანებს შორის. კლასიკურ დასავლურ აზროვნებაში შეუმჩნეველი არ დარჩენილა ის ფაქტი, რომ არსებობს ძლიერი კავშირი ასოციაციასა და მსგავსებას შორის. არისტოტელე თავის ნაშრომში - ნიკომაქეს ეთიკა - აღნიშნავს, რომ ადამიანებს უყვართ ისინი, ვინც მათი მსგავსია. პლატონი კი ამბობდა, რომ მსგავსება წარმოშობს მეგობრობას (McPherson, Smith-Lovin, & Cook, 2001). პოლ ლაზერსფელდი და რობერტ მერტონი ნაშრომში - ”მეგობრობა, როგორც სოციალური პროცესი: სუბსტანციური და მეთოდოლოგიური ანალიზი“ - განასხვავებენ ჰომოფილიის ორ ტიპს. ესენია, სტატუსის ჰომოფილია და ღირებულების ჰომოფილია. სტატუსის ჰომოფილიის შემთხვევაში, მსგავსება ეფუძნება არაფორმალურ, ფორმალურ ან მიკუთვნებულ სტატუსს. სტატუსის ჰომოფილია მოიცავს ძირითად სოციო-დემოგრაფიულ განზომილებებს, რომლებიც ახდენს ადამიანთა სტრატიფიცირებას ისეთი მახასიათებლების მიხედვით, მაგალითად, როგორებიცაა: რასა, ეთნიკური წარმომავლობა, სქესი, ასაკი და შეძენილი მახასიათებლები - რელიგიური აღმსარებლობა, განათლება, პროფესია და სხვა. ხოლო ღირებულების

ჰომოფილია ემყარება ღირებულებებს, დამოკიდებულებებსა და რწმენას (Merton & Lazarsfeld , 1954).

პირველადი ჯგუფის ფარგლებში, ერთი და იმავე რელიგიის წარმომადგენლებს შორის კავშირები უფრო მჭიდროა და ნდობის ხარისხი მაღალია ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ეხება დახმარების გაწევას, რჩევის მიცემას და სხვა. ხოლო ნაკლებად ინტენსიური კავშირების შემთხვევაში რელიგიური ჰომოფილიის ხარისხი დაბალია (McPherson, Smith-Lovin, & Cook, 2001). ბეინბრიჯმა და სტარკმა დაადგინეს, რომ კოლეჯის სტუდენტებს შორის ინტერაქციისას, რელიგიური დამოკიდებულებები და შეხედულებები გამორჩეულ მნიშვნელობას იძენდა მაშინ, როდესაც სტუდენტებს შორის ურთიერთობა იღებდა აქტიურ სახეს სოციალური მოძრაობის ან ფორმალური ორგანიზაციების საფუძველზე. სავარაუდოა, რომ კონსერვატორი სტუდენტები რელიგიურ აღმსარებლობას აქცევენ მეგობრობის ქვაკუთხედად (Bainbridge & Stark, 1981).

2.6 სტიგმა

ბერძნული წარმოშობის ტერმინი „სტიგმა“ დამღას ნიშნავს. ანტიკურ საბერძნეთში, იმისათვის, რომ აღენიშნათ საზოგადოებისათვის მიუღებელი პირები, მათ სხეულზე ტვიფრავდნენ გარკვეულ ნიშანს, რაც სტიგმას წარმოადგენდა. დღესდღეობით სტიგმის მნიშვნელობა შეიცვალა, ახლებური კონოტაცია მიიღო. თანამედროვე გაგებით, სტიგმა არის სტერეოტიპების სიმრავლე, რომელიც მოიაზრებს სოციალურ მიუღებლობას, ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია გარკვეულ იარლიყზე დამყარებულ სოციალურ დევალვაციასთან. სტიგმა წარმოიქმნება საზოგადოებაში გარკვეული ინდივიდების მიერ ისეთი ნიშნების ქონის შედეგად, რომლებიც იწვევს მათი სოციალური იდენტობის ნეგატიურ შეფასებას. მართალია, რომ ნებისმიერი სოციალური სტიგმა ახდენს ინდივიდებისთვის გაუფასურებული იდენტობის მიწერას, თუმცა მისი მახასიათებლები სპეციფიკურია ამა თუ იმ კონტექსტიდან გამომდინარე. ადამიანის სტიგმატიზაციას იწვევს სხვადასხვა აღქმული ან რეალური მახასიათებლის ან თავისებურების ფლობა, რომელთა სპექტრიც საკმაოდ დიდია. მაგალითად, ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა რელიგიური აღმსარებლობა, ეროვნული თვითიდენტიფიკაცია, რასა, სქესი თუ სხვა (Thomas & Nair, 2011).

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი ირვინგ გოფმანი გვთავაზობს სტიგმის განმარტებას, რომლის მიხედვითაც, სტიგმა არის ისეთი სოციალური ფენომენი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ორ მახასიათებელს მაინც, ესენია - 1. სხვადასხვა ნიშანზე დამყარებული განსხვავების აღიარება; 2. ამის საფუძველზე ინდივიდის სოციალური დისკრედიტაცია (Heatherton, Kleck, & Hull, 2003). გოფმანის მიხედვით, სტიგმა არის ატრიბუტი, რომელიც ახდენს ადამიანის იდენტობის დაკნინებას. საზოგადოებაში სტიგმატიზებული ინდივიდები ხდებიან გარკვეული სტერეოტიპების და სხვადასხვა ტიპის დისკრიმინაციის მსხვერპლნი (მაგალითად, გარიყვა). კონკრეტულ შემთხვევებში, სტიგმატიზაცია გამოწვეულია ,,მარკირების'' შედეგად, კერძოდ: პიროვნება განიცდის პირდაპირ დისკრიმინაციას, თუ სტიგმის განმაპირობებელი ნიშანი არის თვალსაჩინო, ხოლო, იმ შემთხვევაში, როცა ეს თავისებურება ფარულია, მაშინ მადისკრიმინირებელი ნიშნები ,,იმალება'' (Thomas & Nair, 2011).

გოფმანი გამოყოფს სტიგმის სამ განსხვავებულ სახეს. ესენია:

1. ,,სხეულის დეფორმაციები'' - მაგალითად, ფიზიკური ნაკლი.
2. ,,ინდივიდუალური ხასიათის ნაკლოვანებები'' - მაგალითად, სუსტი ნებისყოფა, ალკოჰოლიზმი, უმუშევრობა, სუიციდის მცდელობა.
3. ,,ტომობრივი სტიგმა'' (ჯგუფური იდენტობა) - მაგალითად, რასა, ეროვნული თვითიდენტიფიკაცია, რელიგიური აღმსარებლობა (Goffman, 1963).

2.7 იდენტობის სტრატეგიები (სტიგმატიზაციასთან გამკლავების მეთოდები)

რელიგიური უმცირესობების შემთხვევაში, ყოველდღიურ ვითარებაში, მათი იდენტობა არ არის გააქტიურებული, ხოლო მისი ,,გამოღვიძება'' ხდება ისეთ სიტუაციაში, როდესაც ეგზისტენციური უსაფრთხოების განცდა იკარგება და რელიგიური იდენტობა, ღირებულებები და რწმენები საფრთხის ქვეშ დგება. ეთნიკური თუ რელიგიური სუბკულტურის ღირებულებები მნიშვნელოვანი ფაქტორია იმ კუთხით, რომ რაც უფრო დაახლოებულია ისინი მეინსტრიმულ ღირებულებებთან, მით უფრო მაღალია ინტეგრაციის ხარისხი და დაბალია დისკრიმინაციის დონე. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს იდენტობების შეუთავსებლობას, სავარაუდოა, რომ ეს გამოიწვევს

დაპირისპირებას პრაგმატულ და ონტოლოგიურ საჭიროებებს შორის, კერძოდ, მეინსტრიმულ კულტურასთან ადაპტაციასა და საკუთარი ღირებულებების დაცვას შორის (Camilleri & Malewska-Peyre, 1997).

ინტეგრაცია ითვლება ყველაზე ხელსაყრელ სტრატეგიად კულტურული ცვლილებების დასაძლევად. თუმცა, ინტეგრაციისათვის საჭიროა შესაბამისი პირობები. რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობების კულტურული ღირებულებები და ჩვეულებები არ უნდა იყოს მტკიცე წინააღმდეგობაში დომინანტური საზოგადოების ღირებულებებთან. ხოლო „ახალი“ საზოგადოება ღია უნდა იყოს მათ მისაღებად, რათა თავიდან აიცილოს დისკრიმინაცია. ორ კულტურას შორის მანძილი წარმატებული ან წარუმატებელი ინტეგრაციის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. მაგალითად, პოლონური წარმოშობის მიგრანტები შეერთებულ შტატებში ბევრად უკეთ იყვნენ ინტეგრირებულნი, ვიდრე მუსლიმი მიგრანტები, რომლებიც საფრანგეთში ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩამოდიოდნენ. მუსლიმური ქვეყნების ფუნდამენტურ ღირებულებებსა და საფრანგეთის ქრისტიანული საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს შორის უფრო მეტი განსხვავება იყო, ვიდრე პოლონურ და ამერიკულ ღირებულებებს შორის. ზოგიერთი ტრადიციული მუსულმანური ღირებულებები, დამოკიდებულებები და ნორმები ეწინააღმდეგება ყოველდღიურ ფრანგულ კულტურას. ამავდროულად, მეორე თაობის მიგრანტი მოზარდები უფრო მეტად იზიარებდნენ თავიანთი ფრანგი თანატოლების ღირებულებებს, ვიდრე მათი მშობლების. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა გოგონებისთვის. საკუთარ ეთნიკურ ჯგუფში მამრობითი სქესის წარმომადგენლები დომინანტურ პოზიციას იკავებდნენ, ქალი კი დამოუკიდებლობას მოკლებული იყო. ამ ახალგაზრდებისთვის მთავარი პრობლემა იყო მშობლების ტრადიციული ღირებულებების შეჯერება და თანატოლების კულტურულ საზოგადოებაში მონაწილეობა. მწვავე კულტურულმა კონფლიქტებმა შეიძლება გამოიწვიოს კოგნიტური შეუთანხმებლობა და სირთულეები თანმიმდევრული იდენტობის მშენებლობაში. იდენტობის კონსტრუქცია არის დროში და სივრცეში ადამიანის „ერთგვაროვნების“, გამოცდილების, ღირებულებების და წარმოდგენების ინტეგრაციის პროცესი. ტერმინი „ერთგვაროვნება“ ეხება არა მხოლოდ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ თვისებებს, არამედ ღირებულებითი სისტემის თანმიმდევრულობას,

რასაც კამილერი „მნიშვნელობის ერთიანობას“ უწოდებს. იდენტობის შეუსაბამობა შეიძლება იყოს კონფლიქტის შედეგი დომინანტური კულტურისადმი ადაპტაციის პრაგმატულ მოთხოვნილებასა და ონტოლოგიურ მოთხოვნილებას შორის (Camilleri & Malewska-Peyre, 1997).

კონფლიქტის თავიდან აცილების მარტივი სტრატეგია - პირველი სტრატეგია არის ონტოლოგიური საზრუნავების ვალორიზაცია, რომელიც ხდება მაშინ, როდესაც ინდივიდები მიიჩნევენ, რომ კონფლიქტური ღირებულებები გადამწყვეტია მათი იდენტობის ასაგებად. ეს ეხება ბევრ რელიგიურ ფუნდამენტალისტს. ისინი ცდილობენ აირიდონ კონფლიქტი საკუთარ ფასეულობებზე მიჯაჭვულობით. ფუნდამენტალიზმი, თავისი ჩვეული ფორმებით, უარყოფს პრაგმატიზმს. ნებისმიერი წინააღმდეგობა დოგმასთან უნდა იყოს უარყოფილი ან იგნორირებული. კიდევ ერთი შესაძლებლობა არის თანამედროვე სამყაროს მიერ მორალური დარღვევების მინიმუმამდე შემცირება. ამის კარგი მაგალითია მშობლების დამოკიდებულება მათი ქალიშვილების სწავლისადმი. ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში, ტრადიციულ მუსლიმურ ოჯახში გოგონებს სკოლაში სიარულის უფლება აქვთ თინეიჯერობის პერიოდამდე. მაგრამ, მეორე მხრივ, განათლებულ გოგონას აქვს უკეთესი შანსი, რომ უფრო პერსპექტიულად დაოჯახდეს. ამიტომ მშობლები, გამონაკლისის სახით, გოგონას განათლების მისაღებად აუცილებელ მინიმალურ დამოუკიდებლობას აძლევენ, მაგრამ დიპლომის აღების შემდეგ ის კვლავ დაექვემდებარება მშობლის მკაცრ ზედამხედველობას. მშობლები ფიქრობენ, რომ პატივს სცემენ მუსლიმურ კანონებს და დაცულია „მინიმალური პრაგმატიზმი“ (Camilleri & Malewska-Peyre, 1997).

მეორე სტრატეგია არის პრაგმატიზმის ვალორიზაცია, რომელიც ხდება მაშინ, როდესაც ინდივიდები განიცდიან ზეწოლას თავიანთ სოციალურ გარემოსთან ადაპტაციისას. ქცევა ხშირად იცვლება სოციალური სიტუაციების მიხედვით. ყოველდღიურ ცხოვრებაში ბავშვები ინარჩუნებენ მშობლებთან ურთიერთობის ტრადიციულ სტილს და სკოლაში თანატოლებთან მიმართავენ მოდერნისტულ სტილს. კოლეგებთან ერთად ლანჩის დროს, ზოგიერთი მუსლიმი სვამდა ღვინოს, მაშინაც კი, თუ ისინი ამას არასოდეს გააკეთებდნენ სახლში. მაგრამ ასეთი ქცევა არ არის სრულად ოპორტუნისტული. მართლაც, უფრო მნიშვნელოვან სიტუაციებში, როგორიცაა

ქორწინება, ან ბავშვების განათლება, რეალური ფასეულობები ვლინდება: დაცულია „ონტოლოგიური“ თუ ტრადიციული ნორმების მინიმუმი. პრაგმატული ან ონტოლოგიური ოკუპაციების უფრო დიდი ან ნაკლები გავრცელების სიტუაციები იწვევს კულტურული კოდების ასეთ მონაცვლეობას. მაგალითად, სახლში მისვლამდე ზოგიერთი მუსლიმი გოგონა გამოიცვლის სამოს, ასევე მოიშორებს მაკიაჟს და გახდება ,,კარგი შვილი''. ამას ეწოდება "ქამელეონის იდენტობა". ეს ქცევითი ტექნიკა საშუალებას აძლევს მას გადარჩეს მულტიკულტურულ გარემოში და თავიდან აიცილოს მუდმივი კონფლიქტები და ჩხუბი მშობლებთან და სხვებთან (Camilleri & Malewska-Peyre, 1997).

კონფლიქტის თავიდან აცილების კომპლექსური სტრატეგია - კონფლიქტის თავიდან აცილება ორი ურთიერთგამომრიცხავი განცხადების ჩახშობის გზით ყოველთვის არ არის ადამიანისთვის დამაკმაყოფილებელი. ზოგიერთი ადამიანი, როდესაც ხვდება ასეთ კონფლიქტებს, ამუშავებს კომპლექსურ რაციონალიზაციას, რათა შეამციროს წინააღმდეგობა. ეს არის კოგნიტური დისონანსის შემცირება. კამილერი აკვირდებოდა ორი სახის „კომპლექსურ თანმიმდევრულობას“ ამ სიტუაციებთან გამკლავებისთვის: პირველი, ჩვენ ზოგჯერ შეგვიძლია დავაკვირდეთ წესების მარტივ დამატებას ან ზედმეტობას ტრადიციულ და თანამედროვე კულტურულ კოდებს შრის. ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა „უპირატესობების მაქსიმიზაციის სტრატეგია“. ადამიანი ირჩევს თითოეული კულტურული სისტემის ყველაზე ხელსაყრელ თვისებებს და უგულებელყოფს ყოველგვარ ლოგიკურ შეუსაბამობას. მაგალითად, ზოგი მამაკაცი, როცა ოჯახს ქმნის იღებს დასავლურ სისტემას და თავისუფლად ირჩევს პარტნიორს მშობლების ნებართვის გარეშე. მაგრამ, ქორწინების შემდეგ ისინი უბრუნდებიან ტრადიციულ კოდებს, რადგან ეს მათ საშუალებას აძლევს, რომ ჰქონდეთ მეტი ძალაუფლება ოჯახში. მეორე, სხვა ადამიანები ცდილობენ შეამცირონ ორივე კულტურული კოდების წინააღმდეგობები რამდენიმე განსხვავებული რაციონალური საშუალების გამოყენებით. ერთი არის ხელახალი მითვისება. ჩვეულებრივ ხდება ფუნდამენტური რელიგიური ტექსტების ხელახალი ინტერპრეტაცია (მაგალითად, ყურანის) იმის მტკიცებით, რომ ზოგიერთი ახალი იდეა (მაგალითად, მეტი ლიბერალიზმი განათლებაში) უკვე არსებობდა წმინდა წერილებში, ყოველ შემთხვევაში, ირიბად. ეს სტრატეგია იძლევა სოციალური ცვლილებების ინტეგრაციის საშუალებას

კულტურულ მემკვიდრეობაში ეთნიკური ტრადიციის „ნამდვილობაზე“ შეხების გარეშე. მეორე გზა არის თანამედროვე ღირებულებების ფორმირება ტრადიციულის საფუძველზე. მთავარი არგუმენტი კი არის ის, რომ ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებისთვის, რიგ შემთხვევებში, ყველაზე ოპტიმალური გზა არის თანამედროვე ქცევა. მაგალითად, ქალების ნარატივი იმის შესახებ, რომ განათლების მიღება მათთვის არის ის რესურსი, რაც მათ უკეთეს დედებად და მეუღლეებად აქცევთ (Camilleri & Malewska-Peyre, 1997).

ავტორი გვთავაზობს სტიგმატიზაციასთან გამკლავების სტრატეგიებს: ინდივიდუალური და კოლექტიური. ინდივიდუალური სტრატეგიები - საზოგადოება ახდენს მიგრანტების, რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობების სტიგმატიზირებას, როგორც პრობლემურების, გაუნათლებლების და დევიანტების. ამ ახალგაზრდების იდენტობის განვითარებას ძირითადად ემუქრება საზოგადოების მიერ პროგნოზირებული გაუფასურებული და სტერეოტიპული იმიჯის ინტერნალიზება. ერთ-ერთი ინდივიდუალური სტრატეგიაა დისკრიმინაციული მოპყრობის უგულებელყოფა, რადგან რეალობის უფრო რბილად წარმოჩენა ადამიანებს ეხმარება იმაში, რომ მათი გამოცდილება გახდეს ნაკლებად ტრავმული (Camilleri & Malewska-Peyre, 1997).

კოლექტიური სტრატეგიები - კოლექტიურმა სტრატეგიებმა შეიძლება გამოიწვიოს უფრო ღრმა პოლიტიკური ვალდებულება, ისევე როგორც საკუთარი კულტურის იდეალიზაცია და დასავლური ცივილიზაციის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების განვითარება. საფრანგეთში მეორე თაობის მიგრანტებმა ჩრდილოეთ აფრიკიდან შექმნეს ძლიერი მოძრაობა, რომელმაც მნიშვნელოვანი ისტორიული როლი ითამაშა საფრანგეთის საზოგადოებაში მათი პოზიციის ასამაღლებლად. მათ სურდათ "უკეთესი" ადგილი ეპოვათ საზოგადოებაში, ვიდრე მათ მშობლებს ჰქონდათ, რადგან მეტად განათლებულები იყვნენ. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სტერეოტიპებთან და სტიგმებთან გამკლავების სტრატეგიები კულტურულ-სპეციფიკურია (Camilleri & Malewska-Peyre, 1997).

2.8 თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების გამოცდილების აღწერა

ჰიჯაბი არაბული წარმოშობის სიტყვაა და აღნიშნავს ისეთ საგანს, რომლის მეშვეობითაც ქალი დაცულია სხვისი თვალთახედვისგან (გელოვანი, 2005). ყურანში ვკითხულობთ: „ჰეი შუამავალო! უთხარი შენს ცოლებს, ქალიშვილებს და მორწმუნე კაცთა ცოლებს, რომ მოისხან საბურველი! ...'' (ყურანის 33-ე თავი) „და უთხარი მორწმუნე ქალებს, მოარიდონ თვალნი მათნი აკრძალულს და დაიცვან ნამუსი მათნი და არ გამოაჩინონ თავიანთი სამშვენისები გარდა მოჩანს რაც მისგან[3] ...'' (ყურანის 24-ე თავი) (მიქელაძე, 2015).

ისლამის მიმდევრების შემთხვევაში დღემდე განხილვის საგნად რჩება თავსაფრის ტარების საკითხი. ეს თემა საკმაოდ კომპლექსურია და განსხვავდება კონკრეტული ქვეყნის კულტურული სპეციფიკის მიხედვით. დღესდღეობით, მუსლიმ ქალთა ნაწილი არ ატარებს თავსაფარს. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მისი ტარება რეგულირდება კანონის შესაბამისად (მაგალითად, ირანში). ამავდროულად, ზოგიერთ სამოსს მოგვიანებით მიენიჭა რელიგიური დატვირთვა (მაგალითად ბურკას). ჰიჯაბის ტარების სხვადასხვა ვერსია (რომელებიც განსხვავებული ხარისხით ფარავენ ქალის სხეულს) მიგვანიშნებს იმაზე, თუ რამდენად ახდენს გავლენას კულტურული ტრადიციები რელიგიურ პრაქტიკებზე. მაგალითად, საქართველოში, აჭარელი მუსლიმების შემთხვევაში, მათი ნაწილი ატარებს თავსაფარს, რაც ხაზს უსვამს მათ რელიგიურ იდენტობას, ხოლო ნაწილი არ ატარებს, რადგან თავსაფარს გადამწყვეტ როლს არ ანიჭებს. ორივე შემთხვევაში, ეს არის მათი თავისუფალი არჩევანი. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი მუსლიმების დიდი ნაწილი თავსაფარს არ ატარებს. რაც შეეხებათ ქისტებს, აქ ვხვდებით შემდეგ ვითარებას - ქალების ნაწილი თავსაფარს ატარებს, ხოლო, ნაწილი მისდევს ვაინახების ტრადიციას და მას შემდეგ, რაც დაოჯახდება იფარებს თავსაფარს, რომლის ფორმა და შინაარსობრივი დატვირთვა განსხვავებულია (ზვიადაძე & სორდია, 2021). კვლევის - ,,თავსაფარი მუსლიმი ქალების ყოველდღიურობაში'' - თანახმად, ქართულ რეალობაში, მუსლიმ გოგონების ოჯახის წევრები, რიგ შემთხვევებში, მათ მიერ თავსაფრის დაფარებას არ აფასებენ დადებითად,

[3] შენიშვნა: იგულისხმება სახე და ხელები.

რადგან თვლიან, რომ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების გამო მათ გარკვეული ბარიერები შეექმნებათ (აბულაძე, 2022).

კვლევის ანგარიშში - ,,აჭარის ხილული და უხილავი საზღვრები'' - ვკითხულობთ, რომ აჭარელი მუსლიმების შემთხვევაში, განათლება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გოგონების ემანსიპაციისათვის. უფრო კონკრეტულად, რელიგიური განათლება მათ საშუალებას აძლევს აამაღლონ მათი დამოუკიდებლობის ხარისხი და სოციალური სტატუსი, მათ შორის, ოჯახში. მაგალითად, გარკვეული ტრადიციები უფრო კრიტიკულად შეაფასეს და აღმოჩნდა, რომ ის, რაც მიიჩნეოდა რელიგიურად, რეალურად ძველი ადათ-წესი ყოფილა (ზვიადაძე, 2020). ეს ვითარება უახლოვდება ისლამური ფემინიზმის იდეას, რომელის მიზანიც არის ყველა მუსლიმის სრული თანასწორობა როგორც ქალის, ასევე კაცის ცხოვრების კერძო და საჯარო სფეროებში. ისლამის მიხედვით, ქალების შემთხვევაში ერთ-ერთი საგულისხმო უფლება არის განათლების მიღების შესაძლებლობა. ყურანის ის მონაკვეთები, რომლებიც ცოდნის შეძენას უკავშირდება ეხება როგორც ქალს, ისე კაცს და გაზვიადებულია მოსაზრება, რომ ეს არის მხოლოდ მამაკაცის პრივილეგირებული უფლება. თავად მუჰამედი განათლებას ორივე სქესის წარმომადგენლებს აძლევდა (გელოვანი, 2005).

განსხვავებულია დამოკიდებულება ქართველი მუსლიმების და იმ მუსლიმების მიმართ, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ. მაგალითად, აჭარელი მუსლიმები ორმაგ წინააღმდეგობას აწყდებიან რელიგიური რეპრეზენტაციისას. კერძოდ, ერთი მხრივ, საზოგადოების ნაწილს აქვს მიუღებლობა ისლამის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, სტიგმა ძლიერდება იმ შემთხვევაში, როცა ისლამის მიმდევარი არის ქართველი. მაგალითად, ბათუმში, თავსაფრიან გოგონებს, ზოგ შემთხვევაში, საუნივერსიტეტო სივრცეში კიცხავენ იმის გამო, რომ მიუღებლად მიაჩნიათ ქართველის მუსლიმობა (ზვიადაძე, 2020).

სტატიაში - ,,პანკისელი ახალგაზრდები რეგიონის განვითარებისთვის'' - ვკითხულობთ, რომ თავსაფრიან გოგონებთან ინტერქაციისას, ხშირ შემთხვავში, კურსელები ინტერესდებიან მათი წარმომავლობით, რელიგიით და, ზოგჯერ, გაოცებსასაც კი იწვევ ის ფაქტი, რომ ქართულად ძალიან კარგად საუბრობენ. თავსაფრის

ტარებას უყურებენ, როგორც საკუთარ გადაწყვეტილებას და ამ ყოველივეს დიდი პასუისმგებლობით ეკიდებიან. მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია სხვადასხვა რელიგიის, ღირებულებების, თუ ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობა, რადგან ასე ბევრ საკითხზე წარმოდგენები უფრო ნათელი ხდება და მიმღებლობაც იზრდება (ზურაბიშვილი, 2022).

საინტერესოა საერთაშორისო გამოცდილებაც. მაგალითად, კვლევის ანგარიშში - ,,მუსლიმი ქალი სტუდენტები და მათი გამოცდილება უმაღლესი განათლების შესახებ კანადაში'' - ვკითხულობთ, რომ მუსლიმ გოგონებს შორის ის სტუდენტები განიცდიდნენ უფრო მეტ დისკრიმინაციას, რომლებიც ჰიჯაბს ატარებდნენ. ზოგიერთი მათგანი თავს გრძნობდა მარგინალიზებულად და გარიყულად. ამავდროულად, რესპონდენტების აზრით, მიმღებ საზოგადოებაში ჰიჯაბის აღქმა იყო ძალიან სტერეოტიპული და მას მიიჩნევდნენ მუსლიმი ქალების ჩაგვრის ყველაზე მნიშვნელოვან სიმბოლოდ. მონაწილეთა უმეტესობა, რომლებიც ატარებდნენ თავსაფარს, აცხადებდნენ, რომ მათთვის რთული იყო მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება მეინსტრიმის წარმომადგენელ სტუდენტებთან, ხოლო უფრო მეტად უმარტივდებოდათ ურთიერთობა იმ კურსელებთან, რომლებიც თავადაც ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენდნენ. ასევე, თავსაფრიანი გოგონები სხვადასხვაგვარად რეაგირებდნენ მათ მიმართ გამოვლენილ სტერეოტიპულ დამოკიდებულებაზე, თუმცა დისკრიმინაციასთან გამკლავების ძირითად მექანიზმს წარმოადგენდა ის, რომ ქონოდათ კარგი ცოდნა თავიანთი რელიგიის შესახებ, რათა ამომწურავი და დასაბუთებული პასუხები გაეცათ ისლამთან დაკავშირებულ შეკითხვებზე (Khosrojerdi, 2015).

კვლევაში - ,, ჰიჯაბიანი სტუდენტები: მოტივაცია და გამოცდილება უმაღლესი განათლების შესახებ ინგლისის უნივერსიტეტებში'' - აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო სივრცეში ძალიან მნიშვნელოვანია თანაბარი მოპყრობა თითოეული სტუდენტის მიმართ, რათა არ მოხდეს მათი დისკრიმინაცია რელიგიის, ეროვნული თვითიდენტიფიკაციის ან სხვა ფაქტორის გამო. გარდა ამისა, თითოეული სტუდენტის აკადემიური მოსწრება უნდა შეფასდეს მათი ცოდნისა და დამსახურების საფუძველზე და არა რელიგიური იდენტობის მიხედვით. კვლევაში აღნიშნულია, რომ გაერთიანებული სამეფოს უნივერსიტეტები ახორციელებენ თანასწორობის პოლიტიკას,

რაც სტუდენტებს, რელიგიური იდენტობის მიუხედავად, საშუალებას აძლევს, რომ ჰქონდეთ აკადემიური წარმატების მიღწევის სამართლიანი შესაძლებლობა (Ghemmour, 2018).

კვლევაში - ,,იყო ჰიჯაბიანი მუსლიმი ქალი სტუდენტი შუა სამხრეთის უნივერსიტეტში''- ვკითხულობთ, რომ ზოგიერთ სტუდენტს საუნივერსიტეტო სივრცეში უგრძვნია დისკრიმინაციული დამოკიდებულება, რაც განპირობებული იყო მუსლიმების მიმართ საზოგადოებაში არსებული ნეგატიური სტერეოტიპებით (მუსლიმი ტერორისტი და სხვა). რამდენიმე შემთხვევის გამოკლებით, მონაწილეთა უმრავლესობამ აღწერა თავისი გამოცდილება კამპუსში, როგორც სასიამოვნო, მეგობრული და კეთილგანწყობილი. კვლევის მონაწილეები ამბობდნენ, რომ კურსელებთან ინტერაქციისას ყველაზე მეტი შეკითხვა, რომელიც მათ მიიღეს ისლამის შესახებ, ეხებოდა ჰიჯაბს. ყველა შეკითხვა იყო მეგობრული და არ აღიქმებოდა დამამცირებლად. მონაწილეებმა განმარტეს, რომ არასწორი შეხედულებების არსებობას ურჩევნიათ დაუსვან კითხვები და გაიზარდოს ინფორმირებულობა ჰიჯაბისა და ისლამის შესახებ (Saleh & Mrayan, 2017).

თავი 3. კვლევის მეთოდი

კვლევისთვის სამიზნე ჯგუფად შეირჩნენ მუსლიმი გოგონები, რომლებიც ატარებენ თავსაფარს, არიან საქართველოს მოქალაქეები და ამჟამად აქვთ სტუდენტის აქტიური სტატუსი. შერჩევისთვის გამოყენებულ იქნა თოვლის გუნდის მეთოდი. მკვლევრები დაუკავშირდნენ სოციალური ქსელის მეშვეობით სამიზნე ჯგუფის ერთ-ერთ წევრს და შემდეგ სთხოვეს ჯგუფის სხვა წევრებთან დაკავშირება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 12-მა მონაწილემ, რომელთა შორისაც 5 რესპონდენტი იყო როგორც რელიგიური, ისე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი (ქისტები და აზერბაიჯანელები), ხოლო 7 კი მხოლოდ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი (ქართველები აჭარიდან, ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან). სტუდენტები წარმოდგენილნი იყვნენ როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან. კვლევაში ასევე გამოყენებულია ექსპერტული შერჩევა (მიზნობრივი შერჩევის ნაირსახეობა). ექსპერტთა ვინაობა განისაზღვრა მათი კვალიფიკაციის მიხედვით, საკვლევი საკითხიდან გამომდინარე. კერძოდ, შეირჩნენ ექსპერტები ფსიქოლოგიისა და რელიგიის სოციოლოგიის მიმართულებებიდან.

ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუები ჩატარდა ორი მეთოდით. კერძოდ, საქართველოს რეგიონებში მცხოვრები სტუდენტების შემთხვევაში - ,,ზუმის" პლატფორმის გამოყენებით, ხოლო თბილისში მყოფი მონაწილეებისა და ექსპერტების შემთხვევაში კი შედგა პირისპირი ინტერვიუები. კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია კი დამუშავდა თვისებრივი კონტენტანალიზის მეთოდით, რომლის საფუძველზეც გამოვლინდა ძირითადი ტენდენციები.

თავი 4. კვლევის შედეგები

4.1 თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების მიერ საუნივერსიტეტო სივრცეში მეორეული ჯგუფის შიგნით სოციალური კაპიტალის მოპოვება

4.1.1 უნივერსიტეტში ჩაბარების პროცესი

ვიდრე უშუალოდ საუნივერსიტეტო სივრცეში მეორეული ჯგუფის შიგნით სოციალური კაპიტალის მოპოვებას შევეხებით, მანამდე მნიშვნელოვანია გავიგოთ რესპონდენტების გამოცდილება უნივერსიტეტში ჩაბარების პროცესის შესახებ. ამ მხრივ, გამოვლინდა ორგვარი ტენდენცია. კერძოდ, მონაწილეთა ნაწილის შემთხვევაში, თავიდანვე განსაზღვრული იყო, რომ ისინი სწავლას გააგრძელებდნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამის მიზეზი იყო ის, რომ სკოლაში კარგად სწავლობდნენ, სურდათ გაეგრძელებინათ განვითარება, რათა სამომავლოდ ყოფილიყვნენ დამოუკიდებელი და ძლიერი ქალები. ამავდროულად, ოჯახის წევრებისგან მათ ჰქონდათ სრული მხარდაჭერა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მშობლებს (ერთ-ერთს მაინც) თავადაც ჰქონდათ მიღებული უმაღლესი განათლება და სურდათ, თავიანთ შვილებსაც ეს გზა გაეგრძელებინათ:

,, მე, მაგალითად, ყოველთვის მქონდა მშობლების მხარდაჭერა. არა მარტო მე, არამედ ჩემმა და-ძმებმაც უნდა გააგრძელონ სწავლა უნივერსიტეტში. ყველას უნდა ჰქონდეს საკუთარი კარიერა და დედაჩემი მეუბნებოდა ყოველთვის, რომ დამოუკიდებელი და ძლიერი უნდა იყო ფინანსურადაც... უნდა შეგეძლოს, რომ საკუთარი თავი თვითონ არჩინო და ამისთვის განათლება არის ყველაზე დიდი იარაღიო." (20 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

მეორე მხრივ, რესპონდენტთა ნაწილის შემთხვევაში, მათი ოჯახის წევრები არ იყვნენ თანახმა, რომ მათ სწავლა გაეგრძელებინათ უნივერსიტეტში. თუმცა, მათი სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ წავიდნენ ოჯახის წინააღმდეგ, საკუთარი ძალებით მოემზადნენ და ისე ჩააბარეს მისაღები გამოცდები:

,,მშობლები მხარს არ მიჭერდნენ, რადგან უცხო იყო მათთვის, რომ გოგოს ჩაებარებინა უმაღლესში და მარტო ეცხოვრა ქალაქში. თავად არ აქვთ მიღებული განათლება, უნივერსიტეტების შესახებაც არაფერი არ იცოდნენ და არც არაფრით მეხმარებოდნენ. გამოცდის დღეს მქონდა წინააღმდეგობა, რადგან არ უნდოდათ ჩემი ქალაქში გამოშვება. მე ვუთხარი, მეთქი ან უნდა ვისწავლო, ან უნდა დავშორდეთ ერთმანეთს ... მოკლედ, გამომიშვეს. რაღაც პერიოდი ადვილად მაკონტროლებდნენ, მშვიდად იყვნენ და მერე ნელ-ნელა უკვე მიეჩვივნენ." (21 წლის, აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

მონაწილეთა ნაწილი ამბობს, რომ მათ თემში პროფესიების არჩევანი არის შეზღუდული. გარკვეული სფეროები, მაგალითად სამედიცინო, პედაგოგიური და ა.შ, უფრო მისაღებად ითვლება და ამ მიმართულებით ბევრი გოგონა აგრძელებს სწავლას. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ერთ მხრივ, მათ თემში ამ პროფესიებით დასაქმება უფრო მარტივია, ხოლო, მეორე მხრივ, ამ სფეროების სპეციფიკა უფრო შეესაბამება მათ რელიგიურ რწმენასა და ტრადიციებს. ამავდროულად, გარკვეული სფერო, მაგალითად, სამსახიობო, ნაკლებად სასურველია, რადგან ამ პროფესიის ზოგიერთი ასპექტი (მაგალითად, მსახიობის სითამამე) ეწინააღმდეგება მათ რწმენასა და ადათ-წესებს. რესპონდენტთა ნაწილმა, არჩევანის გაკეთებისას, გაითვალისწინა ეს ფაქტორები. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც არ ისურვეს, რომ გაეგრძელებინათ ოჯახის წევრების მიერ შერჩეული პროფესიები. მაგალითად, ერთ-ერთი გოგონას მამას სურდა, რომ მისი შვილი მის პროფესიას გაყოლოდა და იურისტი გამხდარიყო, თუმცა მან საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე შეაჩერა არჩევანი. საბოლოოდ კი ოჯახს წინააღმდეგობა არ გაუწევია მისთვის. ასევე, ზოგიერთი რესპონდენტის შემთხვევაში, ახლობლებმა დაიწუნეს მათი პროფესიული არჩევანი, რადგან თვლიდნენ, რომ ამ სფეროში მუსლიმი გოგონა სტიგმატიზირებული იქნებოდა:

,, ისტორიის მიმართულებაზე გავაგრძელე სწავლა, მაგრამ ჩემი ახლობლებისგან იყო ასეთი დამოკიდებულება, რომ შენ თუ ისტორიაზე ჩააბარებ, ბევრი პრობლემა გექნება, უნივერსიტეტში მითუმეტეს, და გაგიჭირდება სწავლაო, რადგან ფიქრობდნენ, რომ რელიგიის გამო ბევრ სტერეოტიპს გადავაწყდებოდი ამ სფეროში.'' (20 წლის, ქართველი მუსლიმი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

4.1.2 მოლოდინები და რეალობა უნივერსიტეტში სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებით

უნივერსიტეტში სწავლის დაწყების საწყის ეტაპზე გოგონებს ჰქონდათ შიში, რომ ვერ მოახერხებდნენ საუნივერსიტეტო სივრცესთან ადაპტაციას. ეშინოდათ ჰიჯაბის მიმართ კურსელების და ლექტორების დამოკიდებულების და ფიქრობდნენ, რომ მათგან წამოვიდოდა ნეგატიური რეაქცია. ყველა მონაწილეს ჰქონდა განწყობა, რომ სააუდიტორიო სივრცეში მათ არ დახვდებოდა მეგობრული გარემო, გადააწყდებოდნენ მთელ რიგ სირთულეებს და ნაკლებად შეძლებდნენ ურთიერთობების დამყარებას. თუმცა, ძირითად შემთხვევაში, ეს მოლოდინი არ გამართლდა. მათი უარყოფითი განწყობა განპირობებული იყო ორი მიზეზით - ერთ შემთხვევაში, სკოლის პერიოდში განცდილი ბულინგით, ხოლო, მეორე შემთხვევაში, მათი თანატოლების ნეგატიური გამოცდილებით. მონაწილეთა ნაწილი უნივერსიტეტში ჩაბარებამდე ძირითადად თავის სოფელში/ქალაქში ცხოვრობდა და ნაკლებად ჰქონდათ შეხება მეინსტრიმული რელიგიის/კულტურის წარმომადგენლებთან. ხშირ შემთხვევაში, რესპონდენტები სტერეოტიპულ დამოკიდებულებას აწყდებოდნენ ქუჩაში, ტრანსპორტში და საზოგადოებრივ დაწესებულებებში. მაგალითად, უგრძვნიათ დაჟინებული მზერა, მოუსმენიათ დამამცირებელი რეპლიკები და სხვა. რესპონდენტთა მცირე ნაწილს სკოლაში მას შემდეგ შეექმნა პრობლემები, რაც თავსაფარი დაიხურა. კერძოდ, სკოლის ადმინისტრაცია ამის წინააღმდეგი იყო. ზოგადად, ამ სკოლებში სუფევდა ისლამოფობია და არ სურდათ ბევრი თავსაფრიანი გოგონას ყოლა, რადგან თვლიდნენ, რომ ეს გამოიწვევდა მიმბაძველობას:

,,მოლოდინი სხვანაირი იყო, რადგან მეგონა, რომ საერთოდ არ მიმიღებდნენ. ეს გამომდინარეობდა სკოლიდან, რადგან მასწავლებლებს არ მოსწონდათ მუსლიმი მოსწავლეები. იყო შემთხვევები, როცა ტერორისტებად რაცხავდნენ მუსლიმებს. დირექტორი ამბობდა, რომ მე სხვებიც მომბაძავდნენ [თავსაფრის გამო] და არ უნდოდა ბევრი ჩემნაირი სკოლაში. სანამ უნივერსიტეტში ჩავაბარებდი, მანამდე ხალხს ქუჩაში ჰქონდა ძალიან სტერეოტიპული დამოკიდებულება. იყო შემთხვევა, რომ ავტობუსში

ჩემთვის თავსაფრის ჩამოგლეჯვა სცადეს, გაჩერებაზეც რამდენჯერმე გამლანძღეს. უნივერსიტეტშიც ასეთ დამოკიდებულებას ველოდი. მეგონა, რომ საერთოდ არ მიმიღებდნენ და დამცინებდნენ. ეს მოლოდინი არ გამართლდა .” (20 წლის, ქართველი მუსლიმი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

4.1.3 უნივერსიტეტში კურსელებთან ურთიერთობის დამყარების საწყისი პროცესი

როგორც აღმოჩნდა, უნივერსიტეტში ჩაბარებამდე, რესპონდენტები არ იცნობდნენ უშუალოდ თავიანთ კურსელებს. თუმცა, ზოგიერთ მათგანს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ამ უნივერსიტეტში სწავლობდნენ მათი თემის წარმომადგენელი გოგონები, მაგრამ სხვა მიმართულებაზე, შესაბამისად, გადაკვეთის წერტილი ნაკლებად ჰქონდათ.

საწყის ეტაპზე, მეორეული ჯგუფის წევრებთან ურთიერთობების დამყარების პროცესში, მონაწილეები აწყდებოდნენ გარკვეულ სირთულეებს. როგორც უკვე აღინიშნა, ეს, ერთი მხრივ, განპირობებული იყო მათი წინასწარი ნეგატიური მოლოდინებით, ხოლო, მეორე მხრივ, ეს იყო ახალი გარემო, სადაც თავს გრძნობდნენ უცხოებად და გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვდა ახალ ადამიანებთან ინტერაქციის დამყარების პროცესი. ამ შემთხვევაშიც, გამოიკვეთა ორგვარი ტენდენცია, კერძოდ: მონაწილეთა ნაწილი, სწავლების დასაწყისში, გამოირჩეოდა ნაკლები აქტიურობით, ცდილობდნენ, რომ ცალკე მსხდარიყვნენ, რაც მათ, საბოლოო ჯამში, თავს გარიყულად აგრძნობინებდათ. მიზეზი იმისა, თუ რატომ არ ცდილობდნენ კურსელებთან კომუნიკაციას, იყო ის, რომ ჰქონდათ გაუცხოების შეგრძნება, ასევე ასახელებდნენ რელიგიური და ეთნიკური განსხვავებულობის საკითხს ისევე, როგორც ჰიჯაბის ფაქტორს და ენობრივ ბარიერს. რეალურად, ქართულად კარგად საუბრობენ, თუმცა ეშინოდათ, რომ კომუნიკაციის დროს დაიბნეოდნენ. ზოგიერთი რესპონდენტი წუხდა იმის შესახებ, რომ თავის თემში ბევრად უფრო გახსნილი, აქტიური და კომუნიკაბელური იყო, ხოლო უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ კი უფრო პასიური გახდა:

,, თავიდან რომ ჩამოვედი, მარტო ვიჯექი ხოლმე, არ შევდიოდი კომუნიკაციაში არავისთან. თან ვუყურებდი ესე შორიდან როგორ თავისუფლად ეკონტაქტებოდნენ ერთმანეთს და მე მართლა გარიყულად ვგრძნობდი თავს ... მერიდებოდა ... თან, ალბათ,

ვფიქრობდი იმასაც, რომ მე სხვა თემის წარმომადგენელი ვარ, შეიძლება, ენობრივი ბარიერი მქონდეს, დავიბნე მათთან საუბრის მომენტში, მაგრამ ანუ თან უცხო გარემო იყო, უცებ ესე სხვა გარემოში რომ აღმოვჩნდი, კულტურული შოკი იყო.'' (20 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

ამავდროულად, მონაწილეთა ნაწილს, რადგან ისინი რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები იყვნენ და, თანაც, ამის გამომხატველი ნიშანი ვიზუალურად ეტყობოდათ ჰიჯაბის სახით, წინასწარვე ჰქონდათ ისეთი განწყობა, რომ თავად უნდა ყოფილიყვნენ აქტიურები, გადაედგათ ნაბიჯი კურსელებთან ურთიერთობების დასაწყებად, რათა არ გამხდარიყვნენ გარიყულები. ამისათვის ისინი მიმართავდნენ სხვადასხვა ხერხს, მაგალითად, სოციალურ ქსელში ქმნიდნენ ჯგუფებს, სადაც აწევრიანებდნენ თავიანთ კურსელებს და იწყებდნენ აქტიურ კომუნიკაციას. ასევე, გოგონების ნაწილი ცდილობდა, რომ თავად წამოეწყო ლექცია-სემინარების მიღმა საუბარი სხვადასხვა თემებზე და ზოგიერთი კი ცდილობდა, რომ სასწავლო პროცესში მაქსიმალურად აქტიურად წარმოეჩინა საკუთარი თავი და შესაძლებლობები, რომ მასთან მეგობრობა უფრო სასურველი ყოფილიყო. გოგონების ნაწილი, პირადი სუბიექტური აღქმის მიხედვით, იყო ინტროვერტი და, შესაბამისად, მათთვის დისკომფორტი იყო კომუნიკაციის პროცესში ასე აქტიურად ჩართვა, თუმცა დიდი იყო სურვილი საუნივერსიტეტო სივრცესთან ადაპტაციის და თავის დამკვირდების, კერძოდ, უნდოდათ, რომ ყოფილიყვნენ ჯგუფის სრულფასოვანი წევრები:

,,ჩემი ძირითადი მიზანი იყო, რომ აქტიური ვყოფილიყავი ლექცია-სემინარებზე, შთაბეჭდილების მოხდენა მინდოდა, რომ ადვილი ყოფილიყო კომუნიკაციების დამყარება და ასეც მოხდა. ის მომენტია, რომ მე რომ ჩვეულებრივ აღმიქვან, უფრო მეტი ძალისხმევა მჭირდება. თუ თავს არ გამოხატავ და არ გამოირჩევი აქტიურობით, მაშინ გარიყულად იქნები. მე ეს მაქვს გააზრებული, რომ შეიძლება ასე დამემართოს და ამიტომ ძალიან ვაქტიურობ. რაღაც შემართება მაქვს ისეთი, რომ ჩემს თავს შემოვუძახო და ვუთხრა, რომ ეს არაფერია და იაქტიურე. ამ დროს ძალიან ინტროვერტი ვარ და ჩემთვის არაკომფორტული ვითარებაა.'' (20 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

აღნიშნულ ტენდენციაზე ექსპერტის მოსაზრება არის შემდეგი, რომ ჩვენი ქცევა იმართება ჩვენი მოლოდინებით. ეს ვითარება კი თავიდან ბოლომდე ერგება ამერიკელი ფილოსოფოსის, სოციოლოგისა და ფსიქოლოგის, ჯორჯ მიდის თეორიულ ჩარჩოს. როდესაც ადამიანს აქვს მოლოდინები, ის არა მხოლოდ იღებს ამ მოლოდინებს, არამედ იქცევა ამ მოლოდინების შესაბამისადაც, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სხვა ინდივიდებთან ან ჯგუფებთან ურთიერთობაზე და ისინიც იქცევიან ისე, რომ ადამიანის საწყისი რწმენები მართლდება - ეს არის თვითქმნადი წინასწარმეტყველება. როდესაც იცვლი სოციუმს და ხვდები სხვა სოციალურ გარემოში, ეს ადამიანისთვის არის სტრესული და ტრავმული. ზოგი ადაპტაციის პროცესს გადის სწრაფად, ზოგს ეს უფრო მეტად უჭირს. პირველი და ზოგადი მიზეზი არის ის, რომ ადამიანები იცვლიან ქალაქს, საცხოვრებელს, მეგობრებს ტოვებენ და ეს, თავისთავად, სტრესია და დრო სჭირდებათ იმისთვის, რომ ახალ გარემოს შეეგუონ. მათი ქცევის პატერნებიც სწორედ ამიტომაც იცვლება. ამას ემატება ის, რომ ისინი არიან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები და შესაძლებელია, რომ საზოგადოებაში მათ მიმართ დამოკიდებულება იყოს განსხვავებული, ჰქონდეთ წინასწარი რწმენები, სტერეოტიპული მოლოდინები, რომლებიც ასევე ახდენს გავლენას ამ ადამიანების ქცევებსა და ემოციებზე. მეორე მხრივ, იქ, სადაც ახლა ფუნქციონირებენ ისინი, წარმოადგენენ რელიგიურ უმცირესობას. იმის გამო, რომ ამის მაიდენტიფიცირებელი ვიზუალური ნიშანი არსებობს, ზოგიერთის მხრიდან, ისინი შეიძლება გახდნენ დისკრიმინაციის ობიექტები. ამავდროულად, ხანდახან, ადამიანი შეიძლება იყოს ინტროვერტი და სხვა წრეში ფუნქციონირებდეს, როგორც ექსტრავერტი:

„ზოგადად, ფსიქოლოგები არ ვამბობთ, რომ ვინმე არის წმინდა ექსტრავერტი ან ინტროვერტი, ეს რაღაც კონტინუუმია, რომლის ფარგლებშიც ადამიანი ფუნქციონირებს. მეორე საკითხია, რომ თუ ადამიანი თავის თავს აფასებს ინტროვერტად, ეს რამდენად შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენ ვიქცევით არა ისე, როგორი პიროვნული ნიშნებიც გვაქვს, არამედ ვიქცევით სიტუაციის გავლენითაც. ხანდახან ადამიანები, იმისთვის, რომ რომელიმე სოციალური წრის წევრები გახდნენ, იძულებულნი არიან, იყვნენ უფრო აქტიურები. ჩვენი პიროვნული ნიშნები ჩვენს ქცევას არ პრედიქცირებს.” (ექსპერტი N1, ფსიქოლოგიის დარგში)

აღსანიშნავია, რომ, თითქმის ყველა შემთხვევაში, კურსელები იყვნენ თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების გაცნობის ინიციატორები. ისინი ცდილობდნენ, რომ მათთან დაემყარებინათ კომუნიკაცია, უსვამდნენ სხვადასხვა ტიპის კითხვებს, მათ შორის, რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად, ინტერესდებოდნენ, თუ რატომ გადაწყვიტეს ჰიჯაბის დაფარება, ეს რა დატვირთვის მატარებელია. ასევე, ინტერესდებოდნენ მათი თემის ტრადიციებით. გოგონები ამბობენ, რომ მათთვის ეს შეკითხვები არის სავსებით მისაღები და ვალიდური, რადგან მათ გარემოცვაში რომ იყოს სხვა კულტურის წარმომადგენელი, რომელსაც განსხვავებული ვიზუალი აქვს, ისინიც დაინტერესდებოდნენ. შესაბამისად, თავად მონაწილეებსაც აქვთ ხოლმე გარკვეული კითხვები ქრისტიანობასთან დაკავშირებით და კურსელებიც უზიარებენ ინფორმაციას თავიანთი რელიგიისა თუ ტრადიციების შესახებ. ასეთი ტიპის კომუნიკაციას ხშირად აქვს ინფორმაციის გაცვლის სახე, რათა მეტი გაიგონ ერთმანეთზე. ყველა მონაწილე აღნიშნავდა, რომ მათ მოსწონთ, როდესაც კურსელები ეკითხებიან ისლამის შესახებ, ამ დროს არანაირ უხერხულობას ან დისკომფორტს არ გრძნობენ და სიამოვნებით აწვდიან კურსელებს სრულ ინფორმაციას:

,,მეკითხებიან ხოლმე ტრადიციებზე, კულტურაზე, აინტერესებთ უბრალოდ, თქვენ როგორ აკეთებთ, რანაირად აკეთებთ, თქვენთან როგორ ხდება. ჰიჯაბთან დაკავშირებითაც მეკითხებიან, როდის შეგიძლია თავშლის მოხდა, ვისთან შეგიძლია და ესეთი რამეები. მე სიამოვნებით ვპასუხობ. ჩემთვის ეს არ არის გამაღიზიანებელი, პირიქით, მე მათგანაც მაინტერესებს ხოლმე. ცალმხრივი არ არის ინტერესი, მეც ვეკითხები ხოლმე რაღაცებს. ერთმანეთს რომ ვუხსნით ამ რაღაცებს, უფრო გვსიამოვნებს ურთიერთობა. ხშირად აღმოგვიჩენია, რომ ორივე რელიგიაში რაღაცები ერთნაირადაა. მაგალითად, ჩვენს ერთ-ერთ კურსელს ძალიან გაუკვირდა როცა ვუთხარი, რომ წმინდა მარიამი ჩვენთან ყურანში ძალიან ბევრჯერაა მოხსენიებული.'' (21 წლის, აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

თუ გავავლებთ პარალელს სხვა ქვეყნების გამოცდილებასთან, შეიძლება ითქვას, რომ ასეთივე შედეგი გამოვლინდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, კანზასის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგად, სადაც მონაწილეები ამბობდნენ, რომ

კურსელებთან ინტერაქციისას ხშირად იღებდნენ კითხვებს ისლამის შესახებ. ყველა შეკითხვა იყო მეგობრული და არ აღიქმებოდა დამამცირებლად. მონაწილეებმა განმარტეს, რომ არასწორი შეხედულებების არსებობას, ურჩევნიათ, დაუსვან კითხვები და გაიზარდოს ინფორმირებულობა ჰიჯაბისა და ისლამის შესახებ (Saleh & Mrayan, 2017).

4.1.4 კურსელებთან (მეორეული ჯგუფის წევრებთან) კომუნიკაცია და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა (როგორც სასწავლო, ისე თავისუფალი დროის გატარების მიზნით).

რაც შეეხება მათ ურთიერთობას კურსელებთან, თითქმის ყველა მონაწილემ აღნიშნა, რომ თანაკურსელები ყოველთვის ეხმარებიან ერთმანეთს, უზიარებენ სასწავლო მასალებს, საგამოცდო საკითხებს. ამავდროულად, ერთად განიხილავენ და მსჯელობენ ხოლმე ახალი დავალების შესახებ. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ეს კომუნიკაცია არის ორმხრივი, შესაბამისად, ხან თავად მიმართავენ კურსელებს თხოვნით, რომ სჭირდებათ, მაგალითად, საკითხავი მასალა და ხან პირიქით. თითქმის ყველა რესპონდენტის შემთხვევაში, მეორეულ ჯგუფში ურთიერთობის დამყარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ჯგუფური სამუშაოები, მაგალითად, პრეზენტაციის მომზადება. ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამის წყალობით ამყარებდნენ პირველ კავშირებს თავიანთ კურსელებთან. ამბობენ, რომ ზოგჯერ თავად სთავაზობენ კურსელებს ერთობლივად დავალების მომზადებას და, ამავდროულად, გოგონებიც იღებენ მსგავს შეთავაზებებს. უშუალოდ სამუშაო პროცესში არანაირი დისკომფორტი არ ექმნებათ, პირიქით, ამბობენ, რომ ყველანი პატივს სცემენ ერთმანეთის მოსაზრებას, მსჯელობენ, თუ რომელი წყაროების გამოყენება იქნება უმჯობესი და, საბოლოოდ, შეჯერებულ პოზიციას ასახავენ დავალებაში:

„ეს ჯგუფური პრეზენტაციები გვეხმარება, რომ გავიცნოთ ერთმანეთი და დავახლოვდეთ. ერთად ვმეცადინეობთ ხოლმე, ვუზიარებთ ერთმანეთს ტესტებს და მასალებს. ერთმანეთის აზრს პატივს ვცემთ, ვაფიქსირებთ იმას, რასაც ვფიქრობთ და თუ ყველანი ვეთანხმებით, შემდეგ ვწერთ პრეზენტაციის სლაიდზე. ხან მე ვთავაზობ ხოლმე, რომ მოდი ერთად გავაკეთოთ და ხან ისინი მოდიან და მეკითხებიან მათთან ერთად თუ

ჩავერთვები პრეზენტაციის გაკეთებაში.'' (20 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

მათ ასევე აქვთ ურთიერთობა თავიანთ კურსელებთან სასწავლო პროცესის მიღმაც, მაგალითად, სეირნობენ, დადიან კაფეში, თუმცა თითოეულმა აღნიშნა, რომ ეს ხდება იშვიათად. ამ ფაქტს ორგვარად ხსნიან მონაწილეები: გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ აქვთ თავისუფალი დროის დეფიციტი გარკვეული ვალდებულებების გამო (სამსახური):

„კურსელებთან ერთად დიდ დროს არ ვატარებ, ეს ჩემგან უფროა. ამის მიზეზია დრო, მე ვალდებულება მაქვს, რომ ვიმუშაო და ის თავისუფალი დრო არ მაქვს, რომ გარეთ გავატარო. ერთადერთხელ ვიყავი გარეთ კურსელებთან ერთად, ნაყინი გვიჭამია უნივერსიტეტის მერე. ისე კი კარგი ურთიერთობა გვაქვს, ჩვეულებრივად ვეხმარებით ერთმანეთს, არავინ არ დამზარდება ამაზე, შუალედურები და ფინალურების დროს განსაკუთრებით ვეხმარებით ხოლმე ერთმანეთს...“ (21 წლის, აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი).

მეორე ნაწილი კი აღნიშნავს, რომ მათ ურჩევნიათ ახლო მეგობრებთან ერთად დროის გატარება, რადგან უბრალოდ ნაცნობებთან (კურსელები, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა არ აქვთ) მორიდებულად არიან და უხერხულად გრძნობენ თავს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თავსაფრიანი გოგონები ამ მხრივ გარკვეულწილად შეზღუდულები არიან, რამდენადაც მათ არ შეუძლიათ ალკოჰოლის მიღება, გარეთ გვიანობამდე დარჩენა და ა.შ. :

„მე ხშირად ვერ მივდივარ. ხანდახან სურვილი არ მიჩნდება, ხან სამეცადინო მაქვს. თუ ახლო მეგობრები არ არიან და უბრალოდ ნაცნობები არიან მათთან ერთად გასვლა ცოტა მერიდება ხოლმე. უფრო მირჩევნია, რომ ვისთანაც უფრო ვმეგობრობ მათთან ერთად გავიდე, რადგან უხერხულად არ ვიგრძნო თავი. დასალევად თუ წავლენ, მე, რა თქმა უნდა, არ გავყვები. “ (20 წლის, ქართველი მუსლიმი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი).

4.1.5 სოციალური ქსელები, როგორც კურსელებთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება

გამოვლინდა, რომ თითოეული მონაწილე აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს. ისინი გაწევრიანებულები არიან სხვადასხვა საგნის ჯგუფებში, ჩატებში. მონაწილეთა აზრი ორად იყოფა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართულები სოციალური ქსელების საშუალებით კურსელებთან კომუნიკაციის პროცესში. ნაწილი აღნიშნავს, რომ საერთო ჯგუფებში აქტივობა არ უყვართ, ერიდებათ კითხვების დასმა და ეუხერხულებათ აქტიურობა. მათთვის უფრო მოსახერხებელია პირადად იმ ადამიანებთან კომუნიკაცია სოციალური ქსელების მეშვეობით, რომლებსაც უფრო ახლოს იცნობენ:

,,შეკითხვის შემთხვევაში დაწერაც მერიდებოდა. ამოვარჩევდი კონკრეტულ პიროვნებას, რომელიც უფრო აქტიური იყო და მაგას მივწერდი ხოლმე, საერთო ჩატში რომ არ დამეწერა. ჩატში რამდენიმე დიალოგში ჩავერთე, მაგრამ დიდად ვერ ვაქტიურობდი, არ მინდოდა, რომ ყურადღება მიმექცია და ვცდილობდი, დამალულად ვყოფილიყავი. მეშინოდა, რომ რამეს ცუდად მეტყოდნენ. სანამ თვითონ არ გამოიჩენდნენ ინიციატივას, მე ჩემით არ ვწერდი." (20 წლის, ქართველი მუსლიმი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

გარკვეული ნაწილისთვის საერთო ჯგუფებში აქტიური კომუნიკაცია სრულებით არ წარმოადგენს სირთულეს, პირიქით, ისინი ამბობენ, რომ სოციალური ქსელების საშუალებით ძალიან მარტივად ახერხებენ მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხების მიღებას თანაკურსელებისაგან:

"მორიდება არ მაქვს, რომ აი ვერ დავწერო ან რამე. პირიქით, ყველაფერში მიყვარს ჩართვა. სოციალური ქსელები განტვირთვაა ჩემთვის, სულ აქტიურად ვწერ ჩატებში. ასე ბევრთან ერთად ჩატში კომუნიკაცია ჩემთვის არ წარმოადგენს საერთოდ სირთულეს." (23 წლის, სამცხე-ჯავახეთიდან, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი)

4.1.6 პირისპირ და დისტანციური სწავლის პერიოდში კომუნიკაციის დამყარების პროცესის შეფასება

მონაწილეთა გარკვეულ ნაწილს ჰქონდა პანდემიის პერიოდში სწავლის გამოცდილებაც, ამიტომ მნიშვნელოვანი იყო შეგვესწავლა კურსელებთან ურთიერთობა მათთვის სააუდიტორიო სწავლებისას უფრო მარტივი იყო თუ ონლაინ, პანდემიის პირობებში. რესპონდენტთა მოსაზრებები განსხვავებულია ამ საკითხთან დაკავშირებით. გოგონების ნაწილი აღნიშნავს, რომ ონლაინ სწავლის დროს მათ არ ჰქონდათ ურთიერთობა კურსელებთან ვირტუალურ სივრცეში, მიიჩნევენ, რომ სააუდიტორიო სწავლებისას უფრო მარტივია კომუნიკაციის წარმართვა და მეგობრების გაჩენა. გამომდინარე იქედან, რომ სოციალურ ქსელში ვერ იჩენდნენ სათანადო აქტიურობას, ესეც იყო ერთ-ერთი ბარიერი, რომ ონლაინ სწავლის პირობებში შეეძინათ მეგობრები:

„სააუდიტორიო სწავლების დროს გაცილებით უფრო მარტივია ურთიერთობის დამყარება და კომუნიკაცია იმიტომ, რომ ონლაინ როცა ვიყავით, მხოლოდ რამდენიმე კურსელთან შეიძლება მქონოდა ურთიერთობა და ისიც, არ მგონია, რომ ახლო... ნუ ახლა სოციალურ ქსელებში რაღაცა მიწერ-მოწერა იყო, მაგრამ რეალურად არ მქონია ურთიერთობა ... მერე, როდესაც მაისში აუდიტორიაში გადმოვედით, მაშინ შევიძინე მეგობრები, რომლებთანაც ახლაც მაქვს ურთიერთობა.“ (20 წლის, პანკისის ხეობიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

გოგონათა ნაწილი თვლის, რომ პირიქით, ონლაინ სივრცეში უფრო მარტივია კომუნიკაციის დამყარება კურსელებთან, ვიდრე სააუდიტორიო სწავლებისას. ისინი აღნიშნავენ, რომ ვირტუალურ სივრცეში ბევრად მარტივად მოახერხეს კურსელების უმეტესობის გაცნობა, ხოლო სააუდიტორიო სწავლებაზე გადასვლისას, მნიშვნელოვანწილად შეიცვალა მდგომარეობა. პირისპირ კომუნიკაციისას გაჩნდა ისეთი ბარიერები, რაც ონლაინ სწავლა-სწავლების დროს ნაკლებად შემაფერხებელი იყო, მაგალითად, ნაკლები ინიციატივა კურსელების მხრიდან. ასევე, ჩატში კომუნიკაციისას იყვნენ მეტად გახსნილები და ნაკლებად იდენტიფიცირებადი იყო მათი განმასხვავებელი ნიშნები, თუნდაც ენობრივი ბარიერი. ზოგი თვლის, რომ

სააუდიტორიო სივრცეში ჰიჯაბი აღმოჩნდა ის ფაქტორი, რის გამოც აღარ სურდათ მასთან აქტიური კომუნიკაცია, თუმცა აღნიშნავენ, რომ ეს არის მათი სუბიექტური შეფასება და ეს კურსელებს არ უგრძნობინებიათ:

„ჩატებში მარტო ლაპარაკობ და აზრების გაცვლა-გამოცვლაა და პირისპირ კომუნიკაციისას შეიძლება, რომ გავლენა მოახდინოს რაღაცებმა, მაგალითად შენი მეტყველების სტილმა, უხერხულად, რომ გრძნობ თავს და ასე შემდეგ. მგონია, რომ ონლაინის დროს უფრო მეტს ვიცნობდი ჯგუფიდან, ყველასთან მქონდა მიწერ-მოწერა, მაგრამ ეხლა შეიძლება ჯგუფში სამი ადამიანი მყავდეს ვისაც ველაპარაკები. კომუნიკაციების მხრივ უფრო მარტივი იყო ონლაინში.“ (20 წლის, პანკისიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

„სოციალურ ქსელში ურთიერთობა ბევრად მარტივია, ვიდრე პირდაპირ. იმ პერიოდში ბევრ კურსელს ვწერდი, ბევრთან ვმეგობრობდი, მაგრამ როცა პირადად ვნახე, მერე უკვე ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. ან მათ აღარ გაუჩნდათ ინიციატივა, რომ ჩემთან მეგობრობის სურვილი ჰქონოდათ, ან მე არ მიჩნდებოდა სურვილი, რომ გამეგრძელებინა მეგობრობა. ჩემთვის არ უგრძნობინებიათ, რომ ეს თავსაფრის გამო იყო, მაგრამ ჩემი აზრით, ამ მიზეზით გაწყვიტეს ურთიერთობა“ (23 წლის, სამცხე-ჯავახეთიდან, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი)

4.1.7 ლექტორებთან ურთიერთობის პროცესის შეფასება

განსხვავებული იყო მონაწილეთა დამოკიდებულება ლექტორებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით. თითქმის ყველა გოგონამ აღნიშნა, რომ ისინი თავისუფლად ახერხებენ კომუნიკაციას ლექტორებთან, არ ერიდებათ მათთვის შეკითხვების დასმა და იღებენ კიდეც სათანადო უკუკავშირს სხვადასხვა საკითხის შესახებ. რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ლექტორებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ მათ მიმართ. აღსანიშნავია, რომ გოგონების ნაწილის აზრით, ლექტორები მათ სხვა სტუდენტებისგან არ ასხვავებენ, ყველას მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ, რაც მათთვის სასიამოვნოა, რადგან ჯგუფში თანაბარ და სრულფასოვან წევრად გრძნობენ თავს. თუმცა, გამოიკვეთა ისეთი შემთხვევებიც, როცა ლექტორები მათ მეტ ყურადღებას აქცევდნენ და ცდილობდნენ, რომ ჩაერთოთ

სალექციო, თუ სასემინარო პროცესში, რაც მონაწილეებისთვის, ასევე, სასიამოვნო და მისაღები ჟესტი იყო.

„ლექტორებს კარგი დამოკიდებულება აქვთ ჩემს მიმართ, ყველა ლექტორი მიყვარს მართლა ძალიან. კითხვა-პასუხში მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ვიაქტიურო და ესე, რომ იყოს, რომ მასხვავებდნენ არა, ყველა ვართ ერთ დონეზე ლექტორისთვის და ეგ მომწონს. ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს ლექტორებთან, თავიდანვე ცდილობდნენ, რომ ზედმეტი ყურადღება არ მოექციათ.“ (20 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

როგორც აღინიშნა, გოგონების უმეტესობა დადებითად აფასებს ლექტორების ნეიტრალურ დამოკიდებულებას მათ მიმართ. საინტერესოა ექსპერტის მოსაზრება ამ ტენდენციასთან დაკავშირებით, მისი აზრით, ყველა ადამიანს, რომელიც შეიძლება, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჯგუფის მიერ იყოს დისკრიმინირებული, სჭირდება თანაბარი მოპყრობა, არ უნდა პრივილეგია:

„როცა ადამიანს სურს ბუნებრივად ფუნქციონირება, მას სჭირდება ბუნებრივი გარემო და ბუნებრივი გარემო არ ნიშნავს განსაკუთრებულ მოპყრობას, ან პოზიტიურ ან ნეგატიურ დისკრიმინაციას.“ (ექსპერტი N1, ფსიქოლოგიის დარგში)

ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელიც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია, გამოყო ლექტორების ორი კატეგორია, აღნიშნა, რომ ლექტორების გარკვეული ნაწილი უფრო ლოიალურად ექცეოდა მას, ცდილობდნენ, რომ გამოკითხვის ფორმატი მოერგოთ მასზე, ხოლო მეორე ნაწილი, პირიქით, უფრო მეტს სთხოვდა და ფიქრობდნენ, რომ იყო გარკვეული საგნები, რომლებსაც სხვა ეროვნების ადამიანი სრულყოფილად ვერ გაიგებს და ამის გამო, გოგონას შეფასება, მისი სუბიექტური აღქმით, იყო დაუმსახურებელი:

„ხანდახან უფრო მომთხოვნი არის ზოგი ლექტორი, ბოლოს გამოდის, რომ შესაბამის ქულას, თუნდაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი რომ ვარ, მაგის გამო ვერ ვიღებ. უბრალოდ, არის ისეთი საგნები, რომლებზეც ფიქრობენ, რომ სხვა ეროვნების ადამიანი კარგად ვერ გაიგებს. შევამჩნიე, ფიქრობენ, რომ ქართველს და აზერბაიჯანელს ერთნაირ ქულას ვერ დაუწერენ. ზოგმა, პირიქით, შეიძლება ნაკლები

მომთხოვოს, რადგან იციან, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ვარ და შეიძლება მთლად ბრწყინვალედ არ მესმოდეს ეს საგანი. იყვნენ ლექტორები, რომლებიც უფრო ლოიალურად მეპყრობოდნენ და უფრო სხვანაირი გამოკითხვის სტილი ჰქონდათ ჩემთან.“ (21 წლის, აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

რამდენიმე გოგონამ აღნიშნა, რომ ზოგიერთი ლექტორისგან უგრძვნია უარყოფითი დამოკიდებულება, რასაც ხსნიან იმ ფაქტით, რომ ისინი ატარებენ თავსაფარს. ერთ-ერთ მონაწილეს, რომელიც მედიცინის ფაკულტეტზე სწავლობს, არ ეძლევა იმის საშუალება, რომ პაციენტებს შეხვდეს (პრაქტიკული საგანი მოიცავს პაციენტებთან კომუნიკაციას) :

„ვერ ვიტყვი, რომ ბევრი ლექტორია, რომელიც თავსაფრის გამო მასხვავებს. დაახლოებით სამი იყო ეგეთი, როცა მიფიქრია ასე იმიტომ მომექცა, რომ აი თავსაფარს ვატარებ. არის ასეთი საგანი, რომ პაციენტებს უნდა შევხვდეთ, პრობლემაზე დიალოგი. ლექტორს გაჰყავს ხოლმე ბავშვები და მე არასდროს გავუყვანივარ, ხშირად მიფიქრია, რომ ეს თავსაფრის გამოა. ლექტორს ჰგონია, რომ პაციენტი თავსაფრის გამო რამეს ისე იფიქრებს ...” (20 წლის, ქართველი მუსლიმი აჭარიდან, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი)

4.1.8 უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პერსონალთან ურთიერთობის პროცესის შეფასება

თითქმის ყველა მონაწილე ამბობს, რომ მათ კარგი ურთიერთობა აქვთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ, რომ მათგან მიიღონ სათანადო დახმარება, იქნება ეს საგნებთან, საბუთებთან, სხვადასხვა ტიპის ცნობასთან, თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებულ შემთხვევებში. ამავდროულად, როდესაც ორ მონაწილეს შეექმნა გარკვეული პრობლემა, კერძოდ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან მიმართვის შემდეგ, მათ მიმართეს სათანადო ზომებს:

,,ადმინისტრაციის თანამშრომლები როგორც ყველა სტუდენტთან არიან, ჩემთანაც ისე არიან. საგნის ჩასასმელად მივედი და ჩამისვეს უპრობლემოდ და

რამდენიმე დღის წინაც მივედი კონკრეტული საკითხის გამო [სტიპენდიის საბუთების ჩასაბარებლად] და ჩვეულებრივად დამეხმარნენ. მე არ მქონია რამე დისკომფორტი.'' (21 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

ამავდროულად, აღნიშნავენ, რომ მათ არანაირი პრობლემა არ ექმნებათ ბიბლიოთეკის, დაცვის, კაფეტერიის თანამშრომლებთან, თუ უნივერსიტეტის სხვა პერსონალთან. მათ მიმართ აქვთ კარგი დამოკიდებულება და არ ჰქონიათ რაიმე პრობლემა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მონაწილეს შეექმნა პრობლემა საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლებთან. ეს გამოიხატებოდა მოთხოვნაში, რომ მოეხსნათ თავსაფარი და, გარდა ამისა, ყოფილა შემთხვევა, როცა გოგონებს სთხოვდნენ მაისურის გადაწევას ხელების საჩვენებლად, ასევე თავშლის შეხსნას კისრის მიდამოების შესამოწმებლად, რაც მათთვის იყო ძალიან დამამცირებელი. კონკრეტულ შემთხვევაში, გამოცდის მიმდინარეობისას, დამკვირვებელმა მოითხოვა, რომ გადაეწიათ ჰიჯაბი, რადგან შეემოწმებინა ხომ არ იყენებდნენ ყურსასმენებს. ასევე, არ გაითვალისწინეს გოგონების თხოვნა იმის შესახებ, რომ გაეყვანათ ცალკე აუდიტორიაში, რადგან დამკვირვებლები სთხოვდნენ, რომ თავშალი გადაეწიათ სხვა სტუდენტების თანდასწრებით. ეს საკმაოდ რთული გამოცდილება იყო მათთვის, რადგან დისკრიმინირებულად გრძნობდნენ თავს, ეზღუდებოდათ რელიგიური გამოხატვის თავისუფლება და ხელი შეეშალათ უშუალოდ გამოცდის წერის პროცესშიც. ამბობენ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს მათ ასევე გაიარეს შემოწმება. გამოცდის დაწყებამდე ისინი გაიყვანეს ცალკე ოთახში, შესაბამისად მათ არ ჰქონიათ არანაირი პროტესტი ამასთან დაკავშირებით, რადგან მათი უფლებები იყო დაცული. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ შემთხვევაზე სათანადო რეაგირება მოახდინა ადმინისტრაციამ და მათ შეისწავლეს ეს ინციდენტი. აღნიშნული ფაქტის გამოძიებაში არასამთავრობო ორგანიზაციებიც ჩაერთნენ.

,, დამკვირვებელი მოვიდა ჩემთან და მეუბნება: „თავშალი გადაიწიეთ და ყურები მაჩვენეთ!", ჯერ იქიდან გამომდინარე, რომ დაბნეული ვიყავი, გადავიწიე, თან იცით ალბათ, რომ იმ საგამოცდო დარბაზში უამრავი სტუდენტია... ეს ქალი დაჟინებით მეძახის არ ჩანს, არ ჩანს, თან ახლოს იყო მოსული... ვინც არ ატარებს ამ თავშალს, მისთვის ალბათ არ არის ასეთი ემოციური, როგორიც ჩვენთვის არის იმიტომ, რომ ჩემთვის აი

ძალიან ღირებულიც არის და დისკომფორტიც არის, რომ რომელიმე ნაწილი ჩანს, თუნდაც თმის ღერი." (20 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

,,ძალიან დავიბენი, ხმა ამიკანკალდა. მაგრამ, ვუთხარი, რომ არ მოვიხსნიდი. კანკალითაც ველაპარაკებოდი. ისე დავიბენი, რომ როცა წავიდა, დამავიწყდა, რას ვწერდი. ერთი ნახევარი საათი მომიწია ჯდომა და გახსენება, რა დამეწერა." (21 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

გოგონები აღნიშნავდნენ, რომ მათ მიმართ დაბალი მოლოდინები და ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს დამატებითი საშუალებები სჭირდებათ გამოცდის გადაწერისათვის, განპირობებულია იმით, რომ აფარიათ ჰიჯაბი. ეს მომდინარეობს იმ სტერეოტიპული დამოკიდებულებიდან, რაც მყარად არის ინტერნალიზებული ქართულ საზოგადოებაში მუსლიმი გოგონების არასათანადო განათლების შესახებ და ამიტომაც შეაქვთ ეჭვი მათ შესაძლებლობებში:

,,როდესაც ვზივარ და ჩემთვის ვწერ საკითხებს, ალბათ ფიქრობენ, რომ რადგან ჰიჯაბი მაფარია, ჩემით ვერ შევძლებ დაწერას? ეგეთი შთაბეჭდილება მექმნება. ეგრე ვიფიქრე იმ დღესაც. სულ ჩემს ირგვლივ ტრიალებდა, არ ვიცი, მგონი მაინც ეპარებოდათ ეჭვი, რომ საიდანღაც გადავწერდი." (20 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

4.1.9 სტერეოტიპულ დამოკიდებულებასთან და დისკრიმინაციის შემთხვევებთან დაკავშირებით თავსაფრიანი გოგონების გამოცდილება

აღსანიშნავია, რომ გამოხატულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას თავსაფრიანი მუსლიმი გოგონები აწყდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს განსაკუთრებით გამოხატულია ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვადასხვა დაწესებულებაში. რამდენიმე შემთხვევა საუნივერსიტეტო სივრცეშიც გამოიკვეთა, თუმცა, საგულისხმოა, რომ აქ, ცალკეული შემთხვევების გარდა, უფრო ნაკლებად აწყდებიან მათ მიმართ გამოხატულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას. მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, როდესაც გოგონებისთვის შეურაცხყოფა მიუყენებიათ ავტობუსის გაჩერებაზე და ძირითადი მიზეზი იყო მათი განსახვავებული რელიგიური აღმსარებლობა. ასევე,

ყოფილა შემთხვევა, როდესაც ტრანსპორტში სცადეს გოგონასთვის თავსაფრის იძულებით ჩამოხსნა: *,,ჩემს სკამს ურტყამდნენ ფეხებს, დაიწყეს ცუდი რეპლიკების გაკეთება, შემდეგ თავსაფარზე მომქაჩეს და ბოლო ხმაზე ვკიოდი ... ძალიან დიდი სტრესი მივიღე.''* გარდა ამისა, საზოგადოების ნაწილში ინფორმირებულობის დონე რომ დაბალია, ამას ცხადყოფს შემდეგი ფაქტი: ფიქრობენ, რომ არ იციან ქართული და ამის გამო ღიად გამოთქვამენ დამამცირებელ რეპლიკებს და თვლიან, რომ ეს გოგონები ვერ გაიგებენ: *,, დაუცინიათ ჩემთვის, აი წარმოიდგინე ესენი შამპუნის რეკლამაში რომ გადაიღოო, ეს ქუჩაში ყოფილა გამვლელებისგან. ჰგონიათ, რომ ქართული არ ვიცით და რაც უნდათ იმას ამბობენ.''*ასევე, ექცევიან, როგორც უცხოებს, მაგალითად, მათ გვერდით არ სურთ ადგილის დაკავება ტრანსპორტში: *,,ეშინიათ, ტერორისტი ვგონივარ ალბათ ან რა ვიცი უბრალოდ განსხვავებულის შიში აქვთ.''*

აღსანიშნავია, რომ სტერეოტიპული დამოკიდებულება ძლიერდება მაშინ, როდესაც მუსლიმი არის ქართველი გოგონა. ამ შემთხვევაში სტიგმა არსებობს ორი მიმართულებით - ერთი ის, რომ ისლამის მიმდევარნი არიან და მეორე ის, რომ საზოგადოების ნაწილისთვის მიუღებელია ისეთი ქართველის არსებობა, რომელიც არ არის მართლმადიდებელი ქრისტიანი. აღსანიშნავია, რომ მსგავს დამოკიდებულებას რამდენიმე გოგონა საუნივერსიტეტო სივრცეშიც აწყდება. მაგალითად, ზოგიერთი ლექტორი ურჩევს, რომ როგორც ნამდვილი ქართველი, გახდეს მართლმადიდებელი, ხან კი გაოცებას გამოხატავენ, რომ მუსლიმები არიან. საგულისხმოა, რომ მსგავსი დისკრიმინაციული მოპყრობის დროს სტუდენტები ხან იღებენ კურსელებისგან მხარდაჭერას და ხან ვერა. მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა ლექტორის მხრიდან მსგავსი სტერეოტიპული რეპლიკის შემდეგ, სტუდენტები ჩაერთვნენ საუბარში და დაიცვეს გოგონა. თუმცა, იყო ისეთი შემთხვევა, როცა დამამცირებელი მოპყრობის შემდეგ გოგონას სურდა, რომ ლექტორისთვის ეჩივლა, თუმცა კურსელების დამოკიდებულებიდან მიხვდა, კურსელები მხარს არ დაუჭერდნენ და, შესაძლო იყო, რომ არ დაედასტურებინათ მისი ნათქვამი:

,,იყო გარკვეული სტერეოტიპები. მყავდა ერთი ლექტორი, რომელმაც როცა გაიგო, რომ ვატარებდი თავსაფარს, სულ იჩენდა ჩემს მიმართ გარკვეულ ინტერესს, სულ უნდოდა რომ ჩართული ვყოფილიყავი. ლექციაზე ერთხელაც შეცვალა სასაუბრო თემა

და თქვა რატომ მოგწონს, შენი კურსელებისგან განსხვავებული რომ ხარო? მაგიტომ გაფარია თავზეო? მერე თქვა, შენ ხარ ნამდვილი ქართველი მართლმადიდებელი მანდილოსანიო და არ გინდა ეს თურქების მიბაძვა და გამუსულმანება და ხომ იცი, მაგათმა როგორ გაამუსულმანეს ძალით ხალხიო." (20 წლის, ქართველი მუსლიმი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

მსგავსი შედეგი გამოვლინდა კვლევაში - ,,აჭარის ხილული და უხილავი საზღვრები" - სადაც ვკითხულობთ, რომ განსხვავებულია დამოკიდებულება ქართველი მუსლიმების და იმ მუსლიმების მიმართ, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ. მაგალითად, აჭარელი მუსლიმები ორმაგ წინააღმდეგობას აწყდებიან რელიგიური რეპრეზენტაციისას. კერძოდ, ერთი მხრივ, საზოგადოების ნაწილს აქვს მიუღებლობა ისლამის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, სტიგმა ძლიერდება იმ შემთხვევაში, როცა ისლამის მიმდევარი არის ქართველი. მაგალითად, ბათუმში, თავსაფრიან გოგონებს, ზოგ შემთხვევაში, საუნივერსიტეტო სივრცეში კიცხავენ იმის გამო, რომ მიუღებლად მიაჩნიათ ქართველის მუსულმანობა (ზვიადაძე, 2020).

ექსპერტის შეფასებით, მიმღებლობის გასაზრდელად ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირებულობა: *,,ჩვენს ხედვაზე გავლენას ახდენს სოციუმში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები, ამავდროულად, მაგალითად, სასკოლო ლიტერატურაში, ზოგ შემთხვევაში, პრობლემად რჩება რელიგიური კონფესიების ნეგატიურ ჭრილში წარმოჩენა. ცხადია, რომ ამ აგურებით შენდება ჩვენი ცნობიერება და ასე ყალიბდება ჩვენი მსოფლმხედველობა. შესაბამისად, როცა ვხედავთ ქართველს, რომელიც არ არის ქრისტიანი, ეს ეჭვს იწვევს, მითუმეტეს, თუ სათანადოდ არ ვიცით ისტორიული კონტექსტი. აქედან გამომდინარე, ხშირია მოწოდება, რომ გადმოკონვერტირდნენ მეინსტრიმულ რელიგიაზე." (ექსპერტი N2, რელიგიის სოციოლოგიის დარგში)*

4.1.10 ჰიჯაბი, როგორც სტიგმის გამაძლიერებელი ფაქტორი

მონაწილეები აღნიშნავენ, რომ უმეტეს შემთხვევაში, თავიანთი ლექტორებისგან ან კურსელების მხრიდან არ აწყდებიან სტერეოტიპულ დამოკიდებულებას და, ძირითადად, კომფორტულად გრძნობენ თავს მათთან კომუნიკაციისას. ერთი მხრივ,

თვლიან, რომ მათი კურსელები ახალგაზრდები არიან და არც არის გასაკვირი, რომ მეტი მიმღებლობა აქვთ, მეორე მხრივ, თვლიან, რომ მათი ლექტორები ერუდირებული ადამიანები არიან, შესაბამისად, აკადემიურ სივრცეში ასეთ შემთხვევებს ნაკლებად აქვს ადგილი. მიუხედავად ასეთი ზოგადი ფონისა, მაინც იხსენებენ კონკრეტული დისკრიმინაციის შემთხვევებს.

ყველა მონაწილე დაეთანხმა მოსაზრებას, რომ მუსლიმი ქალების შემთხვევაში უნივერსიტეტში მეტი ბარიერი ექმნებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ატარებენ თავსაფარს, ვიდრე მათ, ვისაც ვიზუალურად არ ეტყობა, რომ მუსლიმია, გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკულად, ჰიჯაბი არის ხილული ნიშანი იმისა, რომ ისინი არიან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები და მათი განსხვავებულობაც მომენტალურად თვალშისაცემია:

„მყავს ისეთი მეგობრები, რომლებსაც თავშალი არ აფარიათ. ვერ გაიგებ ისინი მუსლიმები არიან თუ არა. მე შემომხედავ და გაიგებ და შეიძლება იფიქრონ, რომ აი რად უნდა, ალბათ აიძულეს. ასეთი სტერეოტიპული დამოკიდებულებები არსებობს.“ (20 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

ძირითადად აწყდებიან შემდეგი სახის სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს, რომ თითქოს ჰიჯაბიან გოგონას არ აქვს განათლების მიღების უფლება, შესაძლოა, რომ ძალდატანებით აფარია თავზე და ის, რომ ისლამი ქალებს ჩაგრავს. ამავდროულად, აწყდებიან ისეთ დამოკიდებულებას, როცა კურსელებს ჰგონიათ, რომ მათ განათლების მისაღებად უწევთ ბრძოლა, თავად ამბობენ, რომ ეს რეალურად ასე არ არის და ოჯახისგან აქვთ სრული მხარდაჭერა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა). ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ლექციაზე დისკუსიის დროს თანაკურსელებსაც უთქვამთ, რომ მუსლიმ გოგონებს არ აქვთ განათლების მიღების უფლება. ასევე იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერთ-ერთი მუსლიმი გოგონა თავისმა კურსელებმა სასემინარო აქტივობაში არ ჩართეს. ამავდროულად, გოგონები ამბობენ, რომ ზოგს ჰგონია, თითქოს მშობლებმა იძულებით დააფარეს თავსაფარი:

„ესეც უკითხავთ შენი სურვილი იყო რომ დაიფარე, თუ გაიძულეს. ჩემს შემთხვევაში, მაგალითად, ჰგონიათ ის, რომ რადგან თავშალი მაფარია გათხოვილი ვარ

ან დაჩაგრული ვარ ან განათლებას წამებით ვიღებ, თითქოს ოჯახი არ მაძლევს მაგის უფლებას. ერთმა კურსელმა მითხრა, იმის გამო გაფასებენ, რომ სწავლობ და განათლებას იღებო, რადგან თქვენ განათლების მისაღებად გრძელ, რთულ გზას გადიხართო. მეთქი რა სისულელეა, რა რთულ გზას, რა გრძელ გზას (იცინის) ...“ (20 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

მონაწილეთა გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა, რომ თავსაფრიან გოგონებთან მეტ დისტანციას იჭერენ, ვიდრე იმათთან, ვისაც ვიზუალურად არ ეტყობა, რომ მუსლიმია. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს მათ თავს უცხოდ აგრძნობინებს. ასევე აღნიშნეს, რომ ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ზოგჯერ არ იციან, თუ როგორ უნდა დაამყარონ კონტაქტი, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ გოგონას ჰკითხეს, შეიძლებოდა თუ არა ხელის ჩამორთმევა. მათი აზრით, ეს ყველაფერი გამოწვეულია რელიგიური და კულტურული ფაქტორებით. აღნიშნავენ იმასაც, რომ ჰიჯაბი ხაზს უსვამს მათ რელიგიურობას და ცხოვრების განსხვავებულ წესს. შესაძლოა, რომ ესეც იყოს კომუნიკაციის პროცესში ხელის შემშლელი ფაქტორი:

„ როცა თავშალი გაქვს მოხვეული, ამით ხაზს უსვამ შენს რელიგიურ ღირებულებებსა და რელიგიურ იდენტობას, შესაბამისად, ეს განაპირობებს იმას, რომ მეორე მხრისგანაც ცოტა ისეთი დამოკიდებულებაა, რომ არ იციან თუნდაც ჩვენ რა დამოკიდებულება გვექნება კომუნიკაციის დაწყების პროცესში. და შესაბამისად, ეს მოლოდინი რომ აქვთ, ეგ განაპირობებს, რომ უფრო უფრთხიან ჩვენთან კომუნიკაციას.“ (20 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

მონაწილეები აღნიშნავენ, რომ გავრცელებული მოსაზრებები ისლამის მიერ ქალების ჩაგვრის შესახებ, არ შეესაბამება სიმართლეს. მათ მოჰყავთ კონკრეტული ციტატები ყურანიდან, მუჰამედის ცხოვრებიდან და ამბობენ, რომ წმინდა წიგნში ქალს აქვს საკმაოდ დიდი როლი, აქვს მუშაობის, განათლების მიღების უფლება. ისინი თვლიან, რომ საზოგადოების დამოკიდებულება მუსლიმი ქალის დაჩაგრულობის შესახებ, გამოწვეულია იმ ინფორმაციით, რომელიც ვრცელდება ირანში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ამბობენ, რომ ირანში დაწესებული შეზღუდვები არის მათი პოლიტიკის ნაწილი, გამომდინარეობს მათი კულტურული ტრადიციებიდან და, ხშირ

შემთხვევაში, მსგავსი აკრძალვები მოკლებულია რელიგიურ საფუძველს. ამავდროულად, ამბობენ, რომ მათთვის მიუღებელია იძულებით ჰიჯაბის დაფარების პრაქტიკა:

„მსგავსი ტიპის სტერეოტიპები მუსლიმ ქალებთან დაკავშირებით არსებობს და ყველას ჰგონია, რომ ისლამი ქალს ზღუდავს ყველანაირად. კულტურიდან და ტრადიციიდან მოდის ეს ყოველივე და არა რელიგიიდან. აი, მაგალითად, ირანში, ავღანეთში, პაკისტანში რაც ხდება, ხალხს ჰგონია, რომ ყველგან ანალოგიური მდგომარეობაა. ისლამში, მართლა ძალიან დიდი დანიშნულება აქვს ქალს, განათლების მიღების უფლებაც აქვს და ყველაფრის უფლებაც, მაგრამ ტრადიცია ზღუდავს.“ (20 წლის, ქართველი მუსლიმი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

საინტერესოა ექსპერტის მოსაზრება მუსლიმი ქალების შესახებ საზოგადოებაში ინტერნალიზებული სტერეოტიპების მიმართ და იმის შესახებ, თუ რატომ განაზოგადებენ ირანში არსებულ ვითარებას საქართველოში მცხოვრებ მუსლიმ ქალებზე. ექსპერტის თქმით, ცრურწმენები, სტერეოტიპები და ნეგატიური მოლოდინები არ არის მარტო ერთი ჯგუფის მიმართ არსებული სოციალური მოვლენა. ჩვენ მიდრეკილები ვართ ზოგადად, რომ სტერეოტიპებით ვიაზროვნოთ და შემდეგ ამ სტერეოტიპებმა გავლენა მოახდინოს ჩვენს აღქმებზე. ეს შეიძლება მუსლიმ თემს ეხებოდეს, შეიძლება სხვა ტიპის უმცირესობებს:

„ყველაფერი ის, რაც განსაზღვრავს უმცირესობა-უმრავლესობის ურთიერთობის დინამიკას, ასევე განსაზღვრავს იმას, თუ ადამიანები რატომ იყალიბებენ ნეგატიურ წინარწმენებს მუსლიმი თემის ქალი წარმომადგენლების შესახებ - არაინფორმირებულობა, ნაკლები დაინტერესება, ისეთი ქეისები, რომლებიც გონებაში უფრო მეტად გამახსოვრდება და ეს ყველაფერი ერთად ქმნის იმას, რომ ადამიანები განაზოგადებენ ერთ ცალკეულ შემთხვევას და დამადასტურებელ ინფორმაციას უფრო იღებენ, ვიდრე საპირისპიროს და ასე ძლიერდება ჯგუფის აზრი.“ (ექსპერტი N1, ფსიქოლოგიის დარგში).

ამავდროულად, საინტერესო იყო ექსპერტის მოსაზრება გოგონების მხრიდან ყურანის კარგად ცოდნის შესახებ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ როდესაც ხარ მეინსტრიმული რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ნაკლებად იყო ჩართული სხვადასხვა რელიგიურ პრაქტიკებში ან ზოგადად, ნაკლებად მოდის კითხვები იმის შესახებ, თუ რატომ არის ადამიანი ამ კონკრეტული რელიგიის მიმდევარი. როდესაც საქმე ეხება რელიგიურ უმცირესობებს, მათ მიმართ ინტერესი მაღალია, შესაბამისად, გარკვეულ კითხვებზე პასუხისას სჭირდებათ, რომ ჰქონდეთ კარგი რელიგიური განათლება ან ეს შეიძლება გამოიყენონ სტერეოტიპული შეხედულებების გასაბათილებლად:

„როდესაც ცურავ დინების საწინააღმდეგო მხარეს, უფრო განგაწყობს ეს, რომ მეტად იყო საკითხში გათვიცნობიერებული. უფრო მეტი ეკითხება მათ, თუ რატომ არიან მუსლიმები, ჩვენ ამას იშვიათად გვეკითხებიან. მეორე მხრივ არსებობს სტიგმა, რომ ისინი არიან გაუნათლებლები, დაჩაგრულები... ამიტომაც ცდილობენ ისლამის და ფემინიზმის შეთავსებას, რათა საუბრისას კონკრეტული სტერეოტიპების გასაქარწყლებად ყურანიდან მოიტანონ კონკრეტული ციტატები.“ (ექსპერტი N2, რელიგიის სოციოლოგიის დარგში)

როდესაც საუბრობენ მათ მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციაზე, აღნიშნავენ, რომ ზოგადად არსებობს მსგავსი სტერეოტიპული დამოკიდებულებები, თუმცა თავად ნაკლებად ხდებიან ამის მსხვერპლნი (რამდენიმე მძაფრი შემთხვევის გარდა). ასევე, ამბობენ იმასაც, რომ შესაძლოა, მათ მიმართაც გამოხატავენ მსგავს დისკრიმინაციას, თუმცა ამას უკვე შეჩვეულები არიან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ და ზოგ შემთხვევაში ივიწყებენ კიდეც:

„საწყის ეტაპზე ერთი დღე კი არა, ერთი კვირა შეიძლება რაღაც ამგვარ რეპლიკაზე მენერვიულა და მედარდა, მაგრამ ახლა მივეჩვიე უკვე. მსგავსი ფაქტები ჩემზე დიდად აღარ ახდენს გავლენას. დისკრიმინაცია რომც ყოფილიყო, შეიძლება გამომპარვოდა, რადგან უკვე აღარ ვარ ჩაციკლული ასეთ რაღაცებზე.“ (19 წლის, სამცხე-ჯავახეთიდან, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი)

ამ ფაქტის შეფასებისას, ექსპერტმა გამოთქვა შემდეგი მოსაზრება: *„როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სტიგმატიზირებულ ინდივიდზე, ძალიან ხშირად ამ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ დაბალი თვითშეფასება იმ მოპყრობის გამო, რასაც განიცდიან საზოგადოების მხრიდან. თუმცა, კვლევებმა დაადასტურა, რომ ამ ადამიანებს არ აქვთ დაბალი თვითშეფასება, არ განსხვავდება ის სხვა ინდივიდებისგან. ამისი ახსნის მექანიზმი არის ის, რომ დისკრიმინაციულ მოპყრობას ხშირად ადამიანები ინდივიდის დონეზე უარყოფენ და ამბობენ, რომ შეიძლება ზოგადად ჩემი თემი იჩაგრება, მაგრამ მე არ ვარ ამ არასწორი მოპყრობის ობიექტი და ამას აკეთებენ იმისთვის, რომ გადაარჩინონ საკუთარი თვითშეფასება.“ (ექსპერტი N1, ფსიქოლოგიის დარგში)*

4.1.11 მეორეულ ჯგუფში სოციალური კაპიტალის მოპოვების ხელის შემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები

მონაწილეები გამოყოფენ იმ ფაქტორებს, რაც მათთვის აღმოჩნდა ხელის შემწყობი ან ხელის შემშლელი კურსელებთან ურთიერთობის დამყარების პროცესში. რაც შეეხება ხელის შემწყობ ფაქტორებს, ძირითადად ასახელებენ ჯგუფურ სამუშაოებს, როდესაც შესაძლებლობა აქვთ, რომ უკეთ გაიცნონ ერთმანეთი და დამეგობრდნენ, ასევე მნიშვნელოვანია ენის ბარიერის არქონა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შემთხვევაში. გარდა ამისა, ამბობენ, რომ მნიშვნელოვანია ორმხრივი ინიციატივა ურთიერთობის დასაწყებად, საერთო ინტერესების ქონა, ასევე ინფორმირებულობა, რაც თავის მხრივ, მიმღებლობასაც განსაზღვრავს:

„ადამიანს ეხმარება აქტიურობა, შენს თავს რომ გამოხატავ, შენს აზრს რომ აფიქსირებ. ასეთი აქტიური როცა ხარ, მაშინ სხვებსაც უჩნდებათ სურვილი, რომ შენთან კონტაქტი დაამყარონ. მე მგონია, რომ ქართულის ცოდნა მიწყობს ხელს, რადგან ვიცი ენა და ჩვეულებრივად შემიძლია ლაპარაკი. ის გოგონები, რომლებმაც არ იციან ენა, უფრო რთულ მდგომარეობაში არიან.“ (21 წლის, აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

რაც შეეხება კომუნიკაციის პროცესში არსებულ ხელის შემშლელ ფაქტორებს, ამ კუთხით, მონაწილეები ასახელებენ ინფორმაციის ნაკლებობას, რაც ბარიერს ქმნის

ურთიერთობის პროცესში. ასევე ზოგიერთის აზრით, ერთ-ერთი ფაქტორი არის რელიგიაც, რადგან ის გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს, რის გამოც ისინი თავს იკავებენ ზოგიერთ აქტივობაში ჩართვისგან, მაგალითად, ალკოჰოლის მიღება:

„ ჩემთვის ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება იყოს ის, რომ მე უფრო შეზღუდული თავისუფლება მაქვს, ვიდრე მათ. მაგალითად, მაგათ შეუძლიათ ერთად შეიკრიბონ, დალიონ, მე არ მაქვს მაგის უფლება. ისინი უფრო თავისუფლები არიან ვიდრე მე და ასევე განსხვავებული რელიგიაც შეიძლება, რომ იყოს ერთ-ერთი ფაქტორი.“ (21 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

4.1.12 ჰიჯაბის მნიშვნელობა თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების ცხოვრებაში

თითოეული მონაწილე აღნიშნავს, რომ მათთვის ჰიჯაბი არის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, ხოლო მის მნიშვნელობას კი განსხვავებულად აღწერენ. ნაწილი ამბობს, რომ მათთვის თავსაფრის ტარება ასოცირდება თავისუფლებასთან, რამდენადაც ფიქრობენ, რომ ჰიჯაბი მათ იცავთ განსაცდელისგან, შესაბამისად, ეს აძლიერებს თვითრწმენას. ზოგიერთის აზრით, თავსაფარი არის მათი რელიგიური იდენტობის, ღირებულებებისა და რწმენის სიმბოლო. ასევე ამბობენ, რომ ჰიჯაბის ტარება არის გარკვეული კომპრომისი, რომელსაც ღმერთის სიყვარულის გამო იღებენ და თვლიან, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ამ გადაწყვეტილებას არასდროს ინანებენ:

,, თავსაფარი არის ჩემი რელიგიური იდენტობის სიმბოლო, ჩემი ღირებულებებისა და რწმენის სიმბოლო, შესაბამისად, ამან განაპირობა ჩემი გადაწყვეტილება, რომ თავშალი დამეფარა. ზოგადად, ისლამს ახასიათებს სოციალურ დონეზე, ოჯახურ დონეზე და ყველა დონეზე ყოფნა ადამიანის ცხოვრებაში და ასე მგონია, გააზრებული მქონდა უკვე, რომ ჩემი რელიგია თუ მოითხოვს, ესე იგი, რაც არ უნდა წინააღმდეგობა იყოს ეს მაინც უნდა გავაკეთო. ბანალურად რომ ვთქვათ, ღმერთის გამო რომ კომპრომისზე წახვალ და დათმობ რაღაცას.” (19 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

გოგონები ამბობენ, რომ სირთულეების მიუხედავად, მათთვის ჰიჯაბმა ბევრი დადებითი ცვლილება მოიტანა. მაგალითად, ზოგიერთი ამბობს, რომ თავსაფარმა განაპირობა მათი წარმატება, რადგან უნდოდათ დაემსხვრიათ სტერეოტიპები და გახდნენ უფრო აქტიურები, კომუნიკაბელურები და მაქსიმალურად ჩაერთვნენ სხვადასხვა აქტივობებში. ნაწილი თვლის, რომ თავზე დაფარების შემდეგ, მისი გარშემომყოფები მეტი პატივისცემით ექცევიან, რაც ასევე სასიამოვნოა მათთვის:

„თავსაფარმა ჩემთვის ძალიან ბევრი ემოცია მოიტანა და ბევრ რამეშიც დამეხმარა. ძალიან რთული იყო ჩემთვის ურთიერთობების დაწყება. თავსაფარმა განაპირობა ის, რომ არ მინდოდა საზოგადოებას ეფიქრა, თითქოს თავსაფარმა ჩაკეტილი გამხადა. ამიტომაც, მაქსიმალურად შევეცადე ჩემი ჰიჯაბი გამემართლებინა იმით, რომ მე სულაც არ მიშლიდა ეს ხელს არაფერში, არც კონტაქტში და არც იმაში, რომ ვყოფილიყავი მხიარული და გახსნილი ადამიანი. უფრო კომუნიკაბელური გავხდი და ჰიჯაბმა განაპირობა ჩემი წარმატება.” (20 წლის, ქართველი მუსლიმი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

4.2 მეორეული ჯგუფის შიგნით პირველადი ჯგუფის წარმოქმნა

4.2.1 ახლო მეგობრული ურთიერთობების დამყარება საუნივერსიტეტო სივრცეში

რაც შეეხება მეორეული ჯგუფის შიგნით პირველადი ჯგუფის წარმოქმნას, კერძოდ, კურსელებთან ახლო მეგობრული ურთიერთობების დამყარებას, ამ თვალსაზრისით გამოიკვეთა ორი ძირითადი ტენდენცია. ერთ შემთხვევაში, გოგონებმა მოახერხეს, რომ დაემყარებინათ ახლო მეგობრული ურთიერთობები იმ ადამიანებთან, რომლებიც საქართველოში არიან ასევე რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები. ერთმანეთთან აქვთ საკმაოდ აქტიური ურთიერთობა როგორც საუნივერსიტეტო სივრცეში, ისე თავისუფალი დროის ერთად გატარების კუთხით, ასევე ერთმანეთს უზიარებენ პირად ინფორმაციებსაც:

„ჯგუფში ყველაზე მეტად ახლოს ვარ აზერბაიჯანელ გოგონასთან. ის არ ატარებს ჰიჯაბს. ალბათ, საერთო რელიგიის გამო ... ფაქტია, რომ ყველაზე მეტად მასთან ვარ დაახლოებული. ინიციატივა ორივესგან მოდის. როგორც აზერბაიჯანელ გოგონასთან ვარ, მასე ახლოს არავისთან, თორემ ისე, ქართველები მეგობრებიც მყავს უნივერსიტეტში და კარგად ვარ მაგათთანაც.“ (20 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

ამ ფაქტის შეფასებისას ექსპერტმა გამოთქვა შემდეგი მოსაზრება:

„ადამიანების ნდობა, მოწონება და მიღება მყღავნდება უფრო მეტად იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ჩვენ გვგავს, მასთან უფრო მეტ სიახლოვეს ვგრძნობთ, სხვადასხვა ნიშნის გამო. ვისთვისაც რელიგია მნიშვნელოვანია, მისთვის მნიშნელოვანია, რომ მისი ახლობელიც იყოს იგივე რელიგიის წარმომადგენელი. ვისთვისაც ეს არ არის მნიშვნელოვანი, ის არ მიაქცევს ამას ყურადღებას.“ (ექსპერტი N1, ფსიქოლოგიის დარგში)

გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც, რამდენიმე მონაწილის შემთხვევაში, რელიგია არ თამაშობდა გადამწყვეტ როლს ახლო მეგობრული ურთიერთობის დამყარებაში, პირიქით, აქვთ ძალიან ახლო ურთიერთობა, ერთმანეთს ენდობიან, უზიარებენ პირად ინფორმაციას და დიდი მოტივაციის წყარო არიან ერთმანეთისთვის :

„ეს ადამიანები [ვისთანაც ახლო მეგობრული ურთიერთობა დავამყარე] არიან ქრისტიანები. არ ვიცი როგორ მოვახერხეთ, თავისით გამოვიდა, რაღაცნაირად ბუნებრივად. რამდენიმესთან ძალიან ახლო დაქალური დამოკიდებულება მაქვს. მათთვის შეუდარებელი ადამიანი ვარ, სულ მამხნევებენ რომ აი შენ აუცილებლად გამოგივა, სულ ჩემს გვერდით არიან. მე, რომ დარწმუნებული ვიყო არაფერი გამომივა, ისინი მარწმუნებენ, რომ მე ამას აუცილებლად შევძლებ, წარმოუდგენელ მოტივაციას მაძლევენ. იმდენად მაძლიერებენ, რომ ისეთი რაღაცებიც შეიძლება გამომივიდეს, რასაც ვერც წარმოვიდგენდი.“ (*21 წლის, აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)*

გოგონების გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ვერ მოახერხეს კურსელებთან ახლო მეგობრული ურთიერთობების დამყარება. ამას ხსნიან რამდენიმე ფაქტორით: ერთი მხრივ, დროის ნაკლებობა, რაც ხელს უშლით ხშირ და აქტიურ კომუნიკაციაში, ასევე რელიგიური და ეთნიკური ფაქტორი:

„ჯერ ისეთი მეგობარი არ მყავს უნივერსიტეტში, ვისთანაც მუდმივად გრძელდება ურთიერთობა და ასე მგონია, რომ ქართველებში ვერც მეყოლება. ზოგიერთი ხომ მყავს ერთი სემესტრი და მეორე სემესტრში ჭირს ურთიერთობის გაგრძელება იმიტომ, რომ სხვა ჯგუფშია. ასე მგონია, რომ ეხლა კი ვარ ამ გარემოში, ქართველებში, მაგრამ მერე ისევ ჩემს ბუდეში ვიქნები და გაჭირდება ამ ურთიერთობების შენარჩუნება.“ (20 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

„ისე ეგრეთ წოდებული დაქალობა ვერავისთან შევძელი. ალბათ ძალიან დაკავებულები რომ ვართ და ცოტა დრო გვაქვს საკონტაქტოდ, შეიძლება ამის ბრალი იყოს ის, რომ დიდად ახლო ურთიერთობა ვერ ჩამოგვიყალიბდა. როცა თავისუფალი დრო გვაქვს, ზაფხულსა და ზამთარში არდადეგების პერიოდში, მე სხვა რეგიონში ვარ, ისინი სხვა რეგიონებში არიან და არ გვიწევს ხოლმე შეკრებები, შეხვედრები და ამის ბრალია, რომ აქტიურად ვერ ვდაქალობთ.“ (20 წლის, ქართველი მუსლიმი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

4.2.2 უნივერსიტეტში შეძენილ ახლო მეგობრებთან ერთად თავისუფალ დროს განხორციელებული აქტივობები

გამოიკვეთა, რომ თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების იმ მცირე ნაწილმა, რომლებმაც შეძლეს უნივერსიტეტში ახლო მეგობრული ურთიერთობების დამყარება, ფაქტობრივად, პირველადი ჯგუფის წარმომადგენლებთან აქვთ ყოველდღიური ურთიერთობა, მაგალითად, ერთად ირჩევენ საგნებს, რათა ხშირად შეხვდნენ ერთმანეთს ლექცია-სემინარებზე, ასევე აქტიურად მეცადინეობენ ერთად, ემზადებიან გამოცდებისთვის, გარდა ამისა, თავისუფალი დროის გატარების მიზნით, სტუმრობენ ერთმანეთს სახლში, დადიან სასეირნოდ, კაფეში. ამავდროულად, ეხმარებიან

ერთმანეთს გარკვეული პრობლემების გადაჭრაში, ცვლიან პირად ინფორმაციებს, რადგან ერთმანეთის მიმართ აქვთ ნდობა:

„ერთად მოვდივართ უნივერსიტეტში, რადგან ახლოს ვცხოვრობთ და ერთად მოვყვებით ტრანსპორტს, ერთად ვმეცადინეობთ ბიბლიოთეკაში, ერთმანეთს ვუზიარებთ კონსპექტებს, გამოცდების დროს ერთად ვიმეორებთ მასალას, ერთად ვსეირნობთ, ვჭამთ, მოკლედ როგორც დაქალები ისე ვაკეთებთ ყველაფერს. ვენდობით ერთმანეთს და ისეთ ინფორმაციებსაც ვუზიარებთ, რასაც მხოლოდ საუკეთესო მეგობრებს ვეტყოდით." (19 წლის, სამცხე-ჯავახეთიდან, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი)

4.2.3 საუნივერსიტეტო სივრცეში ახლო მეგობრული ურთიერთობების დამყარების პროცესში ხელის შემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები

მონაწილეები აღნიშნავენ, რომ კურსელებთან ახლო ურთიერთობების დამყარების პროცესში ერთ-ერთი ხელის შემწყობი ფაქტორი არის საერთო ინტერესების ქონა, რადგან ასე უფრო მარტივად ახერხებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას, მეტი აქვთ სასაუბრო და პროცესიც უფრო საინტერესოა. ამავდროულად თვლიან, რომ მნიშვნელოვანი ფაქტორია ინიციატივის გამოჩენა, რომელიც ეს უნდა იყოს ორმხრივი, რათა კომუნიკაცია შედგეს. ასევე აღნიშნავენ, რომ ახლო მეგობრული ურთიერთობების დამყარებაში დახმარებიათ სოციალური ქსელები:

„ხელის შემწყობი ფაქტორი არის ინიციატივა, რომ გავიცნოთ ერთმანეთი კურსელებმა და ეს უნდა იყოს ორივე მხრიდან წამოსული, რომ საინტერესო პროცესი იყოს. ზოგადად, ახლო მეგობრობა ვისთანაც დამიმყარებია ეს ჩატებით დაწყებულა, იქ ხომ უფრო გახსნილი ხარ და შესაბამისად, ონლაინ სივრცე დამხმარებია ახლო ურთიერთობების დამყარებაში." (20 წლის, ქართველი მუსლიმი აჭარიდან, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი).

რაც შეეხება რელიგიური განსხვავების ფაქტორს, ამ კუთხით გამოიკვეთა ორი ტენდენცია. მონაწილეთა ნაწილი მას აღიქვამს უფრო ხელის შემწყობად ახლო

ურთიერთობის დამყარების პროცესში, რადგან ერთ შემთხვევაში, მათ აერთიანებთ რელიგია, ხოლო მეორე შემთხვევაში, ერთმანეთში ცვლიან ინფორმაციას თავიანთი რელიგიების შესახებ და ეს პროცესი მიაჩნიათ ძალიან საინტერესოდ. რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი კი თვლის, რომ რელიგია წარმოადგენს გარკვეულ ხელის შემშლელ ფაქტორს, რადგან გარკვეული ბარიერები იქმნება ურთიერთობაში:

„ხელის შემშლელი არის ის, რომ როცა ახლო ურთიერთობა ყალიბდება, თუ უფრო გაღრმავება გინდათ იმაზე, უნდა დაფიქრდეთ რომ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ხართ და თუნდაც სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ხართ, რაღაც საზღვარი არსებობს, რის გამოც ვეღარ აგრძელებ უფრო მეტად დაახლოებას.“ (20 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი).

4.3 სოციალური კაპიტალის გავლენა თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების მიერ საუნივერსიტეტო სივრცეში კულტურული კაპიტალის მოპოვებაზე (ცოდნის მიღება, აკადემიური მიღწევები)

4.3.1 კომუნიკაციისას გამოვლენილი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტის მიერ ცოდნის მიღებას, აკადემიურ მიღწევებს

ყველა მონაწილე დაეთანხმა მოსაზრებას, რომ კურსელებს შორის ურთიერთობა დადებითად აისახება სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე, რადგან ეს ხელს უწყობს მეტ ჩართულობას სწავლის პროცესში, ჯგუფურ სამუშაოებში და სხვა. გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად ცვლიან სასწავლო მასალებს, საგამოცდო საკითხებს, რაც ეხმარებათ სწავლის პროცესში, გარდა ამისა, როდესაც აქვთ ახალი დავალება, ხშირად მსჯელობენ ამ საკითხის გარშემო. ამავდროულად, ამბობენ, რომ როცა ლექციაზე, სემინარზე ხვდებიან მეგობრები, უფრო მეტი მოტივაცია აქვთ, რომ დაესწრონ, აქტიურად იყვნენ ჩართულნი და ზოგადად, მსგავსი ფაქტორები, საერთო ჯამში, ხელს უწყობს სტუდენტს სწავლის პროცესში:

„თუ არ გექნება არავისთან ურთიერთობა, არც იმის სურვილი გექნება, რომ მიხვიდე უნივერსიტეტში და ლექციებს დაესწრო. შენთვის მარტო რაღაცნაირად გარიყული იქნები, ალბათ არავის არ ენდომება ასე. როდესაც იცი, რომ კარგი რამ გელოდება უნივერისტეტში ლექციის მერე, მეგობრებთან ერთად საერთო პროექტზე მუშაობა, გართობა, მაშინ უფრო გექნება მოტივაცია, რომ მიხვიდე ლექციებზე.“ (20 წლის, პანკისის ხეობიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

მონაწილეთა აზრით, ახალ მასალასთან, დავალებასთან დაკავშირებით მსჯელობა და მოსაზრებების გაცვლა მნიშვნელოვანია, რადგან ეს გეხმარება საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვაში, ასევე უფრო გასაგები ხდება ისეთი ასპექტები, რომლებიც მანამდე გაუგებარი, ბუნდოვანი იყო. რაც შეეხება კოლექტიურ მუშაობას, გოგონებმა აღნიშნეს, რომ ამას აქვს პოზიტიური ეფექტი მათ მიღწევებზე, მოტივაციაზე, თვითშეფასებაზე და ერთმანეთისადმი მიმღებლობაზე:

„ ხშირად ვმსჯელობთ ხოლმე მასალასთან დაკავშირებით, განვიხილავთ სხვადასხვა საკითხებს, რაც გვეხმარება იმიტომ, რომ როცა ერთმანეთში მოსაზრებებს ვცვლით, უფრო მეტ ინფორმაციას და გამოცდილებას ვიძენთ. რა თქმა უნდა, კურსელებთან ურთიერთობას აქვს დადებითი მხარეები, რადგან, როდესაც ერთად ვმუშაობთ და გარკვეული მიღწევებიც გვაქვს, ეს მეტ მოტივაციას გვაძლევს. ერთმანეთს მოტივაციას ვაძლევთ, რომ შენ ეს შეგიძლია ან ერთად შევძლებთ. საკუთარი თავის მიმართ კარგი თვითშეფასება იქმნება, რადგან იცი, რომ ვიღაცას სჭირდები, რაღაცაში გამოადგები ვიღაცას და ეგ კარგი შეგრძნებაა მართლა.“ (21 წლის, პანკისის ხეობიდან, საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტი)

4.3.2 სოციალური ურთიერთობების მნიშვნელობა სწავლა-სწავლების და დასაქმების პროცესში

თითოეულმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ლექტორებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, უნივერსიტეტის პერსონალთან ურთიერთობა მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობას. ლექცია-სემინარების მიმდინარეობისას ლექტორთან ჯანსაღი კომუნიკაცია

მნიშვნელოვანია, რათა სტუდენტს ჰქონდეს აქტიურობის მეტი მოტივაცია. გარდა ამისა, ამას მნიშვნელობა აქვს იმ კუთხითაც, რომ სტუდენტებმა ღიად დასვან შეკითხვები და ჰქონდეთ სურვილი, რომ სისტემატურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. რაც შეეხება ადმინისტრაციას და უნივერსიტეტის სხვა პერსონალს, მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მათთან აქტიური კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა საკითხებზე კონსულტაციის მიღებისთვის, მეტ ინფორმაციას იგებენ მიმდინარე პროექტების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია როგორც ცოდნის შეძენისთვის, ისე კარიერული განვითარებისთვის:

„ლექტორს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. თუ რომელიმე ლექტორის დამოკიდებულება რაღაცნაირია, ადამიანს სწავლის ხალისიც ეკარგება. რეალურად, შენ შეგიძლია და გამოგივა, რომ ეს საგანი ისწავლო, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ ლექტორი რაღაცნაირია, შეიძლება საერთოდ შეეშვა ამ საგანს და თავი დაანებო, ასე ვთქვათ... როცა ლექტორი კარგია, თუნდაც საგანი ურთულესი იყოს, გინდა თუ არა, შენს მაქსიმუმს აკეთებ იმიტომ, რომ ლექტორი არის კარგი.“ (21 წლის, აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

ყველა მონაწილემ აღნიშნა, რომ დასაქმების პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური ურთიერთობები. რესპონდენტების აზრით, უნივერსიტეტში პირველად ეცნობი მომავალ კოლეგებს, ასევე იმ ადამიანებს, რომლებიც კონკრეტულ პროფესიაში უკვე წარმატებულები არიან და ძალიან მნიშვნელოვანია მათთაბ აქტიური კომუნიკაცია, რადგან შეუძლიათ, რომ მოგცენ პროფესიული რჩევები, გაგაცნონ ის შესაძლებლობები, თუ სად შეძლებ დასაქმებას. ეს ყველაფერი კი ხელის შემწყობი ფაქტორია კარიერული წინსვლისთვის, განსაკუთრებით თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების შემთხვევაში, რადგან ზოგადად, ჰიჯაბი წარმოადგენს ბარიერს დასაქმების პროცესში:

„ძალიან მნიშვნელოვანია ურთიერთობები დასაქმებისთვის. იმიტომ, რომ ჩემი ბოლო სამსახური იყო ჩემი კურსელის რჩევა და მასთან ერთად ვმუშაობდი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთობებს, რადგან მე ამ სამსახურის შესახებ არაფერი ვიცოდი, ჩემმა კურსელმა მითხრა და უამრავი რჩევა მომცა, მოკლედ, ძალიან დამეხმარა

მართლა, რომ ეს სამსახური მეპოვნა. თანაც როგორც უკვე გითხარით, თავსაფრით მარტივი არაა დასაქმება, პირიქით.“ (21 წლის, აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი ქვემო ქართლიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი)

თავი 5. დასკვნა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების მიერ სოციალური კაპიტალის მოპოვების თავისებურებებთან დაკავშირებით (იგულისმხება როგორც ხელის შემშლელი, ისე ხელის შემწყობი ფაქტორები), კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების გამოცდილებას შორის არსებითი განსხვავება არ იკვეთება.

გამოიყო ის ფაქტორები, რომლებიც თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების შემთხვევაში მეორეულ ჯგუფში ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით აღმოჩნდა ხელის შემწყობი ან ხელის შემშლელი. ხელის შემწყობი ფაქტორებია - ჯგუფურ სამუშაოებში ჩართულობა, ენის ბარიერის არქონა, ორმხრივი ინიციატივა ურთიერთობის დასაწყებად, საერთო ინტერესების ქონა. ხოლო, ხელის შემშლელ ფაქტორებად დასახელდა - ინფორმირებულობის დაბალი დონე, ასევე რელიგიური ფაქტორიც (კერძოდ, გარკვეული შეზღუდვები, რის გამოც ისინი თავს იკავებენ ზოგიერთ აქტივობაში ჩართვისგან). რაც შეეხება მეორეული ჯგუფის შიგნით პირველადი ჯგუფის წარმოქმნას, ამ მხრივ, ხელის შემწყობი ფაქტორებია - საერთო ინტერესების ქონა, ორმხრივი ინიციატივა და სოციალურ ქსელში ჩართულობა. რელიგიური ფაქტორი კი დასახელდა როგორც ხელშემწყობ, ისე ხელშემშლელ ფაქტორად (ეს დამოკიდებული იყო რესპონდენტის ინდივიდუალურ გამოცდილებაზე). მონაწილეთა ნაწილი მას აღიქვამდა უფრო ხელის შემწყობად, რადგან ერთ შემთხვევაში, მათ აერთიანებდათ რელიგია, ხოლო მეორე შემთხვევაში, ერთმანეთში ცვლიდნენ ინფორმაციას თავიანთი რელიგიების შესახებ და ეს პროცესი მიაჩნიათ ძალიან საინტერესოდ. ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევდა, რომ რელიგია წარმოადგენს გარკვეულწილად დამაბრკოლებელ ფაქტორს, რადგან ის ურთიერთობაში ქმნის გარკვეულ ბარიერებს.

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ კვლევის მონაწილეები, უმეტესწილად, სირთულეებს აწყდებოდნენ უნივერსიტეტში სწავლის დაწყების საწყის ეტაპზე კურსელებთან (მეორეული ჯგუფი) ურთიერთობის დამყარების თვალსაზრისით. ეს შედეგი, შესაძლოა, რომ აიხსნას რამდენიმე მიზეზით. ერთ-ერთი არის ,, თვითქმნადი წინასწარმეტყველების'' ფაქტორი, რაც გულისხმობს იმას, რომ გოგონებს სწავლის დაწყებამდე ჰქონდათ ნეგატიური მოლოდინები კურსელებთან ინტერაქციასთან დაკავშირებით. ეს თავის მხრივ, განპირობებული იყო იმ სტერეოტიპული დამოკიდებულებებით, რომლებსაც ისინი აწყდებობდნენ ქუჩაში, სკოლაში ან, ზოგადად, ყოველდღიურ ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ მათი მოლოდინები არ გამართლდა და, უმრავლეს შემთხვევაში, თანაკურსელები იჩენდნენ კომუნიკაციის დამყარების ინიციატივას. საგულისხმოა, რომ ზოგიერთი თავსაფრიანი გოგონა თავად ცდილობდა კურსელებთან კომუნიკაციის დამყარების საწყის ეტაპზე ყოფილიყო მაქსიმალურად აქტიური გარიყვის შიშის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ეს მათთვის არ იყო კომფორტული გამოცდილება (მათი სუბიექტური აღქმით, ისინი იყვნენ ინტროვერტები). ამ ფაქტის ახსნა შესაძლებელია იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ ხანდახან, ადამიანი შეიძლება იყოს ინტროვერტი და სხვა წრეში ფუნქციონირებდეს, როგორც ექსტრავერტი. ადამიანები იქცევიან არა ისე, როგორი პიროვნული ნიშნებიც აქვთ, არამედ სიტუაციის გავლენითაც. საბოლოო ჯამში, შესაძლებელია ითქვას, რომ მეორეულ ჯგუფში (კურსელები, ლექტორები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები) გოგონებმა შეძლეს სოციალური ურთიერთობების დამყარება, რაც, სავარაუდოდ, გამომდინარეობს იქიდან, რომ ნაკლებად ინტენსიური კავშირების შემთხვევაში (რაც დამახასიათებელია მეორეული ჯგუფისთვის) რელიგიური ჰომოფილიის ხარისხი დაბალია (ამ შემთხვევაში, რელიგიის ფაქტორი კომუნიკაციის დამყარებისას მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა). გამოიკვეთა ტენდენცია, რომ რამდენიმე დისკრიმინაციული შემთხვევის გარდა, თავსაფრიანი გოგონები დადებითად აფასებენ მათ ურთიერთობას ლექტორებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და უნივერსიტეტის სხვა პერსონალთან. საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ, რომ მიიღონ შესაბამისი დახმარება, კონსულტაცია, მათთვის საინტერესო შეკითხვაზე უკუკავშირი და, ზოგადად, ეფექტიანად აფასებენ მათ მონაწილეობას სწავლა-სწავლების პროცესში.

რაც შეეხება მეორეული ჯგუფის შიგნით პირველადი ჯგუფის წარმოქმნას, აქ გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია. კერძოდ, მონაწილეთა ნაწილმა საუნივერსიტეტო სივრცეში ახლო მეგობრული ურთიერთობები დაამყარა იმ სტუდენტებთან, რომლებიც ასევე არიან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები. თუმცა, გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მონაწილეთა შეფასებით, მათ ვერ შეძლეს ახლო მეგობრული ურთიერთობების დამყარება. ამის მიზეზად კი ასახელებენ შემდეგ ფაქტორებს: დროის ნაკლებობა, რაც ხელს უშლით ხშირ და აქტიურ კომუნიკაციაში, ასევე რელიგიური და ეთნიკური ფაქტორები. შეიძლება ითქვას, რომ ნდობა, მოწონება და მიღება უფრო მეტად ყალიბდება იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან სხვადასხვა ნიშნით, შესაბამისად, მათ შორის ჩნდება უფრო მეტი სიახლოვის განცდა. ამ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ადგილი ჰქონდა სტატუსის ჰომოფილიას (რელიგიის ფაქტორი კომუნიკაციის დამყარებისას მნიშვნელოვანი აღმოჩნდა). თუმცა, რესპონდენტთა მცირე ნაწილის შემთხვევაში მოხერხდა ახლო მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება მეინსტრიმული რელიგიის წარმომადგენლებთან (მართლმადიდებელ ქრისტიანებთან).

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ თავსაფრიანი მუსლიმი გოგონების შემთხვევაში, სოციალური კავშირები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ მიერ კულტურული კაპიტალის მოპოვებაში, კერძოდ, ცოდნის მიღებისა და აკადემიური მიღწევების კუთხით. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ კურსელებთან ერთად კოლექტიურ მუშაობას აქვს პოზიტიური ეფექტი მათ მიღწევებზე, მოტივაციაზე, ამავდროულად, თვითშეფასებასა და ერთმანეთისადმი მიმღებლობაზე. ასევე, მონაწილეთა აზრით, დასაქმების პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური ურთიერთობები, უნივერსიტეტი კი არის ადგილი, სადაც ყალიბდება პირველი პროფესიული კავშირები.

გამოხატულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას თავსაფრიანი მუსლიმი გოგონები აწყდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვადასხვა დაწესებულებაში. რამდენიმე შემთხვევა საუნივერსიტეტო სივრცეშიც გამოიკვეთა, თუმცა, საგულისხმოა, რომ აქ, ცალკეული ფაქტების გარდა, მათი შეფასებით, უფრო ნაკლებად აწყდებიან გამოხატულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას. აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციული დამოკიდებულება ძლიერდება მაშინ, როდესაც მუსლიმი არის ქართველი გოგონა.

მონაწილეები აღნიშნავენ, რომ უმეტეს შემთხვევაში, თავიანთი ლექტორებისგან ან კურსელებისგან არ აწყდებიან სტერეოტიპულ დამოკიდებულებას და ძირითადად კომფორტულად გრძნობენ თავს მათთან კომუნიკაციისას.

მუსლიმი გოგონების შემთხვევაში, უნივერსიტეტში მეტი ბარიერი ექმნებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ატარებენ თავსაფარს, ვიდრე მათ, ვისაც ვიზუალურად არ ეტყობა, რომ მუსლიმია. ამ ფაქტის ახსნა, შესაძლებელია იმით, რომ კონკრეტულ შემთხვევებში, სტიგმატიზაცია გამოწვეულია ,,მარკირების'' შედეგად, კერძოდ: პიროვნება განიცდის პირდაპირ დისკრიმინაციას, თუ სტიგმის განმაპირობებელი ნიშანი არის თვალსაჩინო, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ეს თავისებურება ფარულია, მაშინ მადისკრიმინირებელი ნიშნები ,,იმალება''. საუნივერსიტეტო სივრცეში ძირითადად აწყდებიან შემდეგი სახის სტერეოტიპულ ნარატივებს, რომ თითქოს ჰიჯაბიან გოგონას არ აქვს განათლების მიღების უფლება, შესაძლოა, რომ ძალდატანებით აფარია თავზე და ის, რომ ისლამი ქალებს ჩაგრავს.

ამავდროულად, გამოიკვეთა ის სტრატეგიები, რომლებსაც მუსლიმი გოგონები იყენებენ საუნივერსიტეტო სივრცეში სტიგმატიზაციასთან გასამკლავებლად. ერთ-ერთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ხდება ფუნდამენტური რელიგიური ტექსტების ხელახალი ინტერპრეტაცია იმის მტკიცებით, რომ ზოგიერთი ახალი იდეა (მაგალითად, მეტი ლიბერალიზმი განათლებაში) უკვე არსებობდა ყურანში. ასევე, ერთ-ერთი ინდივიდუალური სტრატეგიაა დისკრიმინაციული მოპყრობის უგულებელყოფა, რადგან რეალობის უფრო რბილად წარმოჩენა ადამიანებს ეხმარება იმაში, რომ მათი გამოცდილება გახდეს ნაკლებად ტრავმული.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე, თ. (2022). *თავსაფარი მუსლიმი ქალების ყოველდღიურობაში.* თბილისი: სოლიდარობის თემი.

ბერძენიშვილი, ა. (2019). *თანამედროვე სოციალური თეორიები.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გელოვანი, ნ. (2005). *ქალის ადგილი და როლი VII-X სს. მუსლიმურ საზოგადოებაში.* თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია - აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.

ზვიადაძე, ს. (2020). *აჭარის ხილული და უხილავი საზღვრები.* თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

ზვიადაძე, ს., & სორდია, გ. (2021). *რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები საქართველოში.* თბილისი: ევროპის საბჭო.

ზურაბიშვილი, თ. (2022). *პანკისელი ახალგაზრდები რეგიონის განვითარებისთვის.* თბილისი: სტატია მომზადებულია USAID/საქართველოს მხარდაჭერით.

კაპაი, გ. (2000). "ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ: თეორიული წინამძღვრები და გამოყენების ხერხები. *ადგილობრივი რეალობა და გლობალური პროცესები: ემიგრაცია, ჯგუფების წარმოქმნა და თვითშეგნება მულტიკულტურულ საზოგადოებაში.* ჰალე: Hallescher Verlag.

მიქელაძე, რ. (2015). *წმინდა ყურანის შინაარსობრივი თარგმანი.* ანკარა: რელიგიურ საქმეთა სამმართველო.

სართანია, ქ. (2017). *სტუდენტების განწყობა უმცირესობებისადმი და მედიის როლი.* თბილისი: ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI).

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2023 წლის 22 თებერვალი). *საქართველოს პარლამენტი.* მოპოვებული საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. მოპოვებულია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=101 -დან

სიხარულიძე, ა., ურუშაძე, მ., ხმალაძე, გ., & ჭიჭინაძე, რ. (2016). *ისლამი საქართველოში: პოლიტიკა და ინტეგრაცია.* თბილისი: კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლი.

ღვინიანიძე, ლ., & ბარქაია, მ. (2014). *რელიგია საჯარო სკოლებში.* თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).

შალვაშვილი, მ. (2021). *ის ქალები, რომლებსაც თავსაფარი ეხურათ, ლექტორების მხრიდან განსაკუთრებით ხშირად ექცეოდნენ ყურადღების ქვეშ.* თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხეჩუაშვილი, ლ. (2016). *css - ლექსიკონ-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. სტიგმა.* მოპოვებულია - http://dictionary.css.ge/content/stigma - დან

ჯავახიშვილი, ლ. (2018). *მუსლიმ ქალთა საჭიროებების კვლევა აჭარაში.* თბილისი: We Research.

Afeef, M. (2022). *Denying Students Educational Services for Wearing Hijab Is Unconstitutional.* Karnataka: The Wire.

Bonds-Raacke, J., Raacke, J., & Elliott, S. (2017). *Should I be networking? Exploring the importance of networking for students.* Washington, DC: American Psychological Association.

Bainbridge, W., & Stark, R. (1981). Friendship, religion and the occult: a network study. *Rev. Relig.*, 22:313-27.

Bourdieu, P. (1984). *Distinction: a social critique of the judgement of taste.* London: Routledge.

Brown, M., Topa, G., & Setren, E. (2014). Do Informal Referrals Lead to Better Matches? Evidence from a Firm's Employee Referral System. *IZA Discussion Paper Series.*

Cambridge Dictionary. (2023). *Dictionary.* Retrieved from Muslim: https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/muslim

Camilleri, C., & Malewska-Peyre, H. (1997). socialization and identity strategies. In J. Berry, P. Dasen, & T. S. Saraswathi, *handbook of cross-cultural psychology - basic processes and human development (volume 2)* (pp. 41-68). Boston; London; Toronto; Sydeny; Tokyo; Singapure: Allyn and Bacon.

Claridge, T. (2018). *Introduction to Social Capital Theory.* Dunedin: Social Capital Research.

Coleman, J. (1988). Social Capital in the Creation of Human Capital. *University of Chicago*, 95-120.

Dokuka, S., Valeeva, D., & Yudkevich, M. (2020, July 27). How academic achievement spreads: The role of distinct social networks in academic performance diffusion. *PLOS ONE*.

Gallagher, M., & Freeman, V. (2022, December 2). *How To Network In College: How To Make Connections Before You Graduate.* Cambridge: Forbes ADVISOR.

Ghemmour, R. (2018). *International Hijabi Students: Motivations and Experiences of Higher Education in a South West University in England.* England: University of Exeter.

Goffman, E. (1963). *Stigma: Notes on the Management of Spoiled Identity.* New York: Simon & Schuster Inc.

Heatherton, T., Kleck, R., & Hull, J. (2003). *The Social Psychology of Stigma.* London: The Guilford Presss.

Hess, W. D. (2016). *Social Capital and the Academic Experience in College Residential Learning Communities.* SAN DIEGO: UNIVERSITY OF CALIFORNIA.

Johnson , J., & Johnson, D. (2018). *ENCOURAGING STUDENT/STUDENT INTERACTION.* Minneapolis: NARST - a global organization for improving science teaching and learning through research.

Khosrojerdi, F. (2015). *Muslim Female Students and Their Experiences of Higher.* London, Ontario, Canada: The University of Western Ontario.

Klimczuk, A. (2015). Cultural Capital. *The Wiley-Blackwell Encyclopedia ofConsumption and Consumer Studies*, 209–214.

Libra, P., Vargas, M., & Céspedes, C. (2021). The University as a Source of Social Capital in Chile. *Frontiers in Psychology*.

McPherson, M., Smith-Lovin, L., & Cook, J. (2001). BIRDS OF A FEATHER: Homophily in Social Networks. *Annual Review of Sociology*, 415-444.

Merton, R. K., & Lazarsfeld , P. F. (1954). "Friendship as a Social Process: A Substantive and Methodological Analysis.". *Freedom and Control in Modern Society*, 18-66.

Nasir, N. S., & Al-Amin, J. (2006). *Creating Identity-Safe Spaces on College Campuses for Muslim Students.* Washington, DC : The Magazine of Higher Learning.

Putnam, R. (2000). *Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community.* United States: Simon & Schuster.

Saleh, A., & Mrayan, S. (2017). Not Without Their Hijab: Being a Muslim Female Student at A Mid-Southern University. *International Journal of Sociology of Education*, 244-267.

The LibreTexts libraries . (2021, Februaro 20). *Sociology*. Retrieved from Deviance and Social Stigma: https://socialsci.libretexts.org/Bookshelves/Sociology/Introduction_to_Sociology/Book%3A_Sociology_(Boundless)/07%3A_Deviance_Social_Control_and_Crime/7.01%3A_Deviance/7.1C%3A_Deviance_and_Social_Stigma

Thomas, S., & Nair, A. (2011). Confronting the stigma of epilepsy. *Ann Indian Acad Neurol*, 158-163.